3. Внесенский А., Гагошидзе М., Гусак В. – Прибор для определения смываемости почв. Сб. Вопросы противозрозионной устойчивости почв Тб. 1940, стр.97.

Исследование водорегулирующих и почвозащитных функций лесов букового пояса ущелья р. Арагви



Долідзе Л.А., Харашивили Т.И., Двалишвили О.И.
(Институт леса Василия Гулисашвили)

В статье рассматриваются вопросы влияния основных формаций лесов букового пояса ущелья реки Арагви на основные водно-физические свойства почвы, поверхностный сток и эрозионные процессы.

Выявлены водорегулирующие и почвозащитные свойства разных формаций лесов букового пояса.

Исследованиями установлено, что различия в показателях основных физических свойств почв и водопроницаемости под незатронутыми рубками высокополнотными древостоями и пройденными рубками малой интенсивности незначительны и тем самым не нарушаются водорегулирующие и почвозащитные свойства разных формаций лесов букового пояса. Наиболее сильное отрицательное влияние (ухудшение водно-физических свойств почв, увеличение поверхностного стока и эрозионных процессов) наблюдается в древостоях полноты 0,2-0,3.

The Investigation of Water Regulative and Soil Protective Functions of Beech Forests Zones on the Example of River Aragvi Ravine

L. Dolidze, G. Kharashvili, O. Dvalishvili
(Vasilii Gulisashvili Forest Institute)

In the article are considered the questions of influence of the basic formations of a beech forest belt of the river Aragvi ravine on the basis of the water-physical properties of bedrock, a superficial drain and erosive processes.

Water regulative and soil-protective properties of different formations of a beech forests belts are revealed.

თელის პითოლოგია საქართველოში

ბ. თაყაიყ, ა. სუბატაშვილი, ვ. კაპანიძე
(ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტი)

სტატიაში მოცემულია აღმოსავლეთ საქართველოს ტყეების ქვედა ზონაში გავრცელებული თელის სატყეო-პითოლოგიური გამოკვლევების შედეგები და გაკეთებულია დასკვნა, რომ განვითარებულია თელის ახალი რეზისტენტული პოპულაციები.

შესავალი. თელის გვარი (*Ulmus L*) თელისებრთა ოჯახს (*Ulmaceae L*) ეკუთვნის, რომელიც 13 გვარს აერთიანებს. მათგან საქართველოში ბუნებრივად მხოლოდ სამი გვარის – თელის (*Ulmus L*), აკაკის (*Celtis L*) და ძელქვის (*Zelkova Spach*) წარმომადგენლები გვხვებიან [1:7].

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მონაცემებით საქართველოში გავრცელებულია თელის ხუთი სახეობა. ესენია: მინდვრის თელა – *UlmusFoliaceae Gilib*; კორპიანი თელა – *U. Suberosa Moench*; თელამუშა – *U. Scabra Mill*; თელადუშა – *U. Elliptika C. Koch*; და ქართული თელა – *U. Georgica Schchin*, ხოლო მსოფლიოში თელის სულ 50 სახეობის აღნიშნავენ [1, 2, 4, 7].

საქართველოში გავრცელებული თელებიდან პირველი ორი გვხვდება ტყის ქვედა სარტყელში, შემდეგი ორი კი – თელამუშა და თელადუშა – ტყის შუა და ზედა სარტყელში. რაც შეეხება ქართულ თელას, იგი ბუნებრივად მხოლოდ შირაქშია გავრცელებული [7].

მიუხედავად იმისა, რომ თელები კორომებს არ ქმნიან და წარმოდგენილი არიან ერთეული ხეების ან პატარა ბიოჯგუფების სახით, ისინი გამოირჩევიან მერქნის მადლად ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით და, ამდენად, ძვირფასმერქნიან სახეობებს მიეკუთვნებიან. ამასთან ერთად, ისინი სხვადასხვა სახისა და ტიპის ეკოსისტემების დამახასიათებელ და აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

თელებს, როგორც ჩვენში, ისე მიუღ მსოფლიოში განსაკუთრებით დიდ ზიანი მიყენა გახსულ საუკუნეში ვეროპაში გაჩენილმა და აქედან მიუღ მსოფლიოში გავრცელებულმა სოკოვანმა ტრაქეომიკოზურმა დაავადებამ, რომელიც ცნობილია თელის პოლანდიური დაავადების სახელით [4,5,9,11,12,13,14].

თელის პოლანდიური დაავადება პირველად საფრანგეთში აღწერეს 1918 წელს, მაგრამ მისი გამოიწვევი მიზეზი ვერ დაადგინეს. მომდევნო წლებში იგი აღინიშნა პოლანდიაში და პოლანდიელმა მეკვლევარებმა დაავადების გამოიწვევი სოკოს კონიდიური სტადია, ანუ ანამორფა აღნიშნეს როგორც *Graphium Ulmi schw*, ხოლო ამჟამად იგი ცნობილია *Pesotum Ulmi (Schw) Crane*-ს სახელით, *Graffium ulmi* კი სინონიმად დარჩა [4,11,14,15].

დაავადების გამოიწვევის კონიდიური სტადია გენეტიკურად დაკავშირებულია ჩანთიან სტადიასთან სინონიმო – *Ophiostoma Ulmi (Schw) Buism* (სინონიმო *Ceratocystis Ulmi (Buism) Mur*), რომელიც ბუნებაში იშვიათად გვხვდება [11,13,16]

ეს დაავადება სწრაფად გავრცელდა მსოფლიოში, თელის ყველა სახეობა დაავადდა და გამოიწვია მათი მასობრივი სმობა იმ დონემდე, რომ ბევრი სახეობის არსებობა ეჭვის ქვეშ

დადგა. შედარებით რეზისტენტული აღმოჩნდა მხოლოდ თურქესტანული თესვა [5,9,10,13]

ობიექტი და მეთოდები. თელის პოლანდიური დაავადება საქართველოში პირველად დაფიქსირდა 1947 წელს ი. შავლიაშვილის მიერ ბორჯომის ხეობაში, ხოლო დაავადება შემოქმედდა სოკოს იდენტიფიკაცია მოახდინა ა. შიშკინამ [4]. დაავადებამ ათი წლის განმავლობაში მთელი საქართველო მოიცვა და თელის ყველა სახეობის მასიური ხმობა დაიწყო [4,7].

სამწუხაროდ, ბოლო 40 წლის განმავლობაში

ცხრ. 1. აღმოსავლეთ საქართველოში თელის კვლევის შედეგად გამოვლენილი დაავადებების განამარტივებული სიაკლების სახეობრივი შემადგენლობა

N	სოკების დასახელება	სუბსტრატები და დაავადების ტიპი
1	2	3
1	<i>Armillaria mellea</i> Quel.	ფესვების თეთრი სივამლე
2	<i>Bjerkandera adusta</i> Karst.	ღეროების თეთრი სივამლე
3	<i>Cercospora ulmi</i> Syd	ფოთლების მურა დაქანობა
4	<i>Coriulus hirsutum</i> Quel	ღეროებისა და ტოტების თეთრი პერფორირებული სივამლე
5	<i>Coriulus versicolor</i> Quel	-----
6	<i>Cylindrosporium ulmi</i> Vassil.	ფოთლების მურა დაქანობა
7	<i>Cytospora chrysosperma</i> Fr.	ტოტების ხმობა
8	<i>Fomes fomentarius</i> Gill.	ღეროების თეთრი სივამლე
9	<i>Ganoderma applanatum</i> Pat.	ღეროს ქვეშ ნაწილისა და ფესვების თეთრი სივამლე
10	<i>Jipex laccatus</i> Fr.	ღეროების თეთრი დოკალური სივამლე
11	<i>Mycosphaerella ulmi</i> Kieb.	ფოთლების ნაცარი
12	<i>Nectria cinnabarina</i> Fr.	ტოტებისა და ამონიყარის ნარკობა
13	<i>Ophiostoma ulmi</i> Nannf.	ტრაქეომადი
14	<i>Phellinus igniarius</i> Quel	ღეროების ტულის თეთრი სივამლე
15	<i>Septoria ulmaria</i> Quid.	ფოთლების თეთრი დაქანობა
16	<i>Shyzocephium alneum</i> Schd.	ღეროების ზედაპირული მურა სივამლე

ბის წარმოშობა-განვითარება, რაც მიუთითებს გამძლეობის შედარებით ამაღლება-გამაღიერებაზე, თუმცა ამ ახლადწარმოშობილ პოპულაციებშიც ამჟამად უკვე შეიმჩნევა ხმობის პროცესი მცირე ინტენსივობით.

ცხრ. 2. აღმოსავლეთ საქართველოში თელის კვლევის შედეგად გამოვლენილი მანვ მწერების სახეობრივი შემადგენლობა

N	მანვ მწერების დასახელება	სუბსტრატი
1	2	3
1	<i>Eranis delticola</i> L.	ცხელიაო მშობელი აზიანებს ფოთლებს
2	<i>Eriosema gatchae</i> Bon	ბუჩქი აზიანებს ფოთლებს
3	<i>Galerucella luteola</i> Mull	თელის ფოთლებშია აზიანებს ფოთლებს
4	<i>Nepticula ulmifoliae</i> Her	აზიანებს ფოთლებს
5	<i>Nepticula ulmifoliae</i> Parb.	აზიანებს ფოთლებს
6	<i>Onesia dispar</i> L.	ანთიერილი პარკვეთა აზიანებს ფოთლებს
7	<i>Operaphthera brumata</i> L.	ზამთრის მშობელი აზიანებს ფოთლებს
8	<i>Scythus laevis</i> Chap	მარწველი ცელაკილი აზიანებს ღეროებს
9	<i>Scythus multistriatus</i> Marsh	მკვდისებრი ცელაკილი აზიანებს ღეროებს
10	<i>Scythus pignatus</i> Fabr	მწუხი ცელაკილი აზიანებს ღეროებს
11	<i>Scythus Scythus</i> Fabr	ერთი მთიანი გამწვანებელი თელის პოლანდიური დაავადებისა
12	<i>Zaurera piana</i> L.	მღერავ აზიანებს ფოთლებს

მიუხედავად სოკოებისა და მანვ მწერების შედარებითი მრავალრიცხოვნობისა, ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ტრაქეომადიური დაავადების შედეგს წარმოადგენენ, ხოლო ხმობის მთავარ მიზეზს კი წარმოადგენს თელის პოლანდიური დაავადება.

ძილზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, თელის სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევები აღარ ჩატარებულა და ამდენად უცნობია თუ რა მდგომარეობაა საქართველოში თელის ხმობის ინტენსივობის და გადარჩენის თვალსაზრისით. მხოლოდ, 2002-2003 წლებში მცენიერებათა ფროვნიული აკადემიის მიერ გამოყოფილი გრანტის საშუალებით მოხერხდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სატყეო მუერნობაში თელის სატყეო-პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება.

გამოკვლევები ჩატარდა თბილისის შემოგარენში და ბოლნისის, კასპის, მცხეთის, თიანეთის, საგარეჯოს, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს სატყეო მუერნობებში - ტყის ქვედა ხარტყელში, დაახლოებით 1000 მ-მდე ზღვის დონიდან მინდორის თელისა და კორპიანი თელის გავრცელების ზონაში.

შედეგები და განხილვა. გამოკვლევებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ რეგიონებში თელის გავრცელება ერთეული ხეებისა და მცირე ბიოჯგუფების სახით. ადრინდელი ინტენსიური ხმობის ფონზე ყველგან შეინიშნება ახალი პოპულაციური თელის პოლანდიური დაავადების მიმართ მცირე ინტენსივობით.

აღსანიშნავია, რომ როგორც ძველ, ისე ახალ პოპულაციებში ხმობის ინტენსივობა შედარებით მაღალა თბილისის შემოგარენში, ხოლო სხვა ობიექტებზე პოპულაციების სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

საერთოდ, თელის პათოგენისიტემებში მთავარ როლს კვლავ ასრულებს თელის პოლანდიური დაავადება. რაც შეეხება სხვა დაავადებებს და მანვებლებს, ტრაქეომადიური დაავადების ფონზე ამჟამად მათ მორეზარისხივანი როლი ეკუთვნის, რადგან ისინი ამ დაავადებით დასუსტებულ ან გამხმარ ხეებზე სახლდებიან.

გამოკვლევებისას გამხმარ და ხმობად თელებზე გამოვლინდა სოკოების 16 სახეობა და მანვ მწერების 12 სახეობა, რომელთა სახეობრივი შემადგენლობა სუბსტრატებისა და დაავადება-დაზიანების ტიპების მიხედვით მოცემულია ცხრილებში.

თელის პოლანდიური დაავადების ნიშნები ასეთია: სხვადასხვა ხნოვანების ხეებზე ფოთლები ჭებება, ივრისება და ხეზე დიდხანს რბება. დაავადების ინტენსიური განვითარების მწვენიე ფოთლები ხმობის გარეშე ჭებებიან. შემდეგ იწყება ყლორტებისა და ტოტების ხმობა. ბოლოს კი ხმობა გადადის დედა ტოტებზე და ხე საბოლოოდ ხმება [4,11,13,15,16].

სოკო კენწეროს ტოტებიდან ივრება და შემდეგ ვრცელდება მთელ მცენარეზე. დაავადების დადგენის შეტად მნიშვნელოვან ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე შერქვის გარეთა შერქვებში შივი ყუვისფერი ხოლოების არსებობა, რომელიც კარგად მოჩანს ტოტების როგორც ტანგენტალურ, ისე ტრისულ ზრილებზე [13,14].

სოკოს კონიდიური ნაყოფობა - ანამორფა - წარმოიშობა გამხმარი ტოტებისა და ღეროს ქერქის ქვეშ ყუვისფერი ან მოშავო კორემიუმების სახით, რომელთა სიმაღლეა 1,5 მმ. კონიდიური სპორები ერთჯერედიანია, იშვიათად ორჯერედიანიც. სოკო სიცოცხლისუნარიანობას მოჭრილ ხეებზე ინარჩუნებს 3 წლის განმავლობაში [12,15].

დაავადების გავრცელება-გადატანაში მთავარ როლს ასრულებენ ცილაჭამიები, განსაკუთრებით კი შემდეგი ორი სახეობა: *Scolytus scolytus* და *S. multistratus*; დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ხანგრძლივი შშრალი და ცხელი ამინდი.

თელის პოლანდიური დაავადება მწვავე და ქრონიკულ სახიათს ატარებს. დაავადების მწვავე სახიათსას ხეები ერთი სეზონის განმავლობაში ან სულაც რამდენიმე თვის დაკვირვის განმავლობაში სწრაფად ხმებიან, ხოლო ქრონიკული სახიათსას კი დაავადება წლებით მიმდინარეობს [4,9,10,11,12,15,16].

აღმოსავლეთ საქართველოში ჩატარებული გამოკვლევებით დგინდება, რომ ჩვენში დაავადებას ძირითადად ქრონიკული სახიათი აქვს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ჩვენში ივრ თბილისის შემოგარენში მიკვლეულ იქნა დაახლოებით 50-60 წლის წინათ გაშენებული კორიანი თელის კულტურები, რომელთა გამოკვლევებით ჩანს, რომ ამ კულტურებში მრავალი წელია მიმდინარეობს ქრონიკული სახიათის ხმობა, არადა მათი შედარებითი გაჯანსაღება შეიძლებოდა ისეთი ღონისძიებების გატარებით, როგორებიცაა გამხმარი ხეების დროულად მოცილება და ხმობადის გასხვლა.

დასკვნა. ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზემოთ დასახელებულ რეგიონებში წარმოშობილია ახალი პოპულაციები, რაც თელის რესისტენტობის გაძლიერების მაჩვენებელია; ამასთან ერთად, კარგი იქნება მასშტაბური გამოკვლევების ჩატარება სხვა რეგიონებშიც და აგრეთვე ტყის შუა და ზედა ზონებში, სადაც თელამუშა და თელადუშა გავრცელებული, რათა დადგინდეს საქართველოში თელის სატყეო-პათოლოგიური მდგომარეობის საერთო სურათი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. აბაშიძე. დენდროლოგია, მცენარეთა გეოგრაფიის საფუძვლებით. ნაწ. II, თბილისი, 1962, გვ.42.
2. ვ. გულისაშვილი. ზოგადი მეტეორობა. თბილისი, 1957.
3. გ. ყანაყანი, შ. სუპატაშვილი. სატყეო ენტომოლოგია. თბილისი, 1968, 374.
4. ი. შავლიაშვილი. მასალები თელის პოლანდიური დაავადების გავრცელების შესახებ საქართველოში. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრ. ტ. XVIII, 1965, გვ. 317-324.
5. Ванин С. Лесная фитопатология. М.-Л. 1955, 416с.
6. Воронцов И. Лесная энтомология. М. 1975.
7. Дендрофлора Кавказа. Т.2. 1961.
8. Журавлёв И. Диагностика болезней леса. М. -Л. 1962. 192.
9. Журавлёв И., Соколов Д. Лесная фитопатология. М., 1969.
10. Жулкин А. Голандская болезнь ильмовых пород в Литовской ССР. Вильнюс. 1958, 45с.
11. Соколова Э., Семенкова И. Лесная фитопатология. М. 1981. 312с.
12. Черемисинов Н. Негрукий С. Лешковцева И. Грибы и грибные болезни деревьев и кустарников. М. 1970, 392с.
13. Шевченко С. Лесная фитопатология. Киев. 1986, 373с.
14. Щербин-Парфененко А. Раковые и сосудистые болезни лиственных пород. М.-Л. 1953.
15. Carmona R.I. Sanchez L.G. Algunos aspectos Teoricos de la epidemia causada por la grabis. Bol. San. Veg. Plagas. 13:395-408. 1987
16. Smith J.M. [Ed]. European Handbook of Plant Disease. London. 1988. 582p.

Патология ильмовых пород в Грузии

Тавაძე Б. Л., Супаташвили А. Ш., Капанაძე Г. Г.
(Институт Леса Василия Гулиашивили)

В 2002-2003 годах в нижней зоне лесов Восточной Грузии в окрестностях г. Тбилиси - и в Болнискском, Каспском, Тианетском, Сяგრედжонском, Гурჯაანском и Дედოპლისკარიоском лесхозах проведены лесопатологические исследования ильмовых (*Ulmus foeniculae*, и *U. suberosa*) и установлено, что на фоне слабого развития Голландской болезни наблюдается появление новых, более резистентных популяций ильмовых.

В новых популяциях не наблюдается очаговое усыхание и болезнь по признакам имеет хроническую форму.

В обследованных регионах, в старых очагах болезни на усохших и усыхающих деревьях были выявлены 16 видов грибов и 12 видов насекомых, которые вызывают разные повреждения, но они не являются главной причиной усыхания ильмовых.



Pathology of of Elms in Georgia

B. Tavadze, A Supatashvili, G. Kapanadze
(Forest Institute of V. Gulisashvili)

The results are given by forest pathological investigations carried out in Elms (*Ulmus foliaceae*, *U. suberosa*) stands of Eastern Georgia in 2002-2003.

The investigations shows that in Eastern Georgia at present occurs new population of *Ulmus foliaceae* and *U. suberosa* resistant to dutch elm disease.

ნაბლისა და მუხის ახალი, საშიში საკარანტინო მავნებლების გავრცელება დასავლეთ საქართველოში

რ. ვასაძე (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ჩამოთვლილია დასავლეთ საქართველოს წაბლნარ-მუხნარებში ახალი საშიში საკარანტინო მავნებლების, წაბლის ნაღმისებური ჩრჩილის (*Cameraria ohridella* Deschka) და მუხის ერთფეროვანი ჩრჩილის (*Tischeria complanella* Hb. = *Tischeria ekabladelia* Bjerkander), გავრცელების მონაცემები.

შესავალი. საქართველოში ტყის შემქმნელ მერქიან სახეობებზე სხვადასხვა ფიტოდავალებებისა და მავნე ენტომოფაუნის გავრცელების შედეგად, ხეების მასობრივი ხმობის მრავალი შემთხვევაა ცნობილი, ესენია: წაბლნარებში წაბლის კიბო, რომლის გამოწვევითაა ნანთოვანი სოკო (*Gryphonectria parasitica*), წიწვოვნებში კი მავნე მწერებიდან ნაბის დიდი ლაფანჯამია (*Dendroctonus micans*), მგუქდავი ქერქიჭამია; ანუ ტიპოგრაფი (*ips tipographus* L), კენწეროს ქერქიჭამია (*ips acuminatus* Eichh), ფიჭვის ჩვეულებრივი ფარიანა (*Leukaspis Pusilla* Love) და სხვა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისმა, შეუძლებელი გახადა ტყის მასივებში, როგორც ფიტო დაავადებების, ასევე მავნე მწერების რეცხვობის დინამიკაზე რეგულარული პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ბევრი მავნებელ-დაავადებები დღემდე შეუსწავლელია, რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ჩვენს უნიკალურ ფლორასა და ფაუნას.

ობიექტი და მეთოდები. 2007 წლის ივლის-აგვისტოში, ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა აჭარის ტყეების სანიტარული მდგომარეობა. წაბლნარ-მუხნარებში აღმოჩენილი იქნა სრულიად ახალი, მეტად საშიში საკარანტინო მავნებლები - წაბლის ნაღმისებური ჩრჩილი (*Cameraria ohridella* Deschka), რომელიც დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა და, ცხადია, არც არაფის შეუსწავლია და რომლის შესახებ არც დირექტურა მოიპოვება) და მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (*Tischeria complanella* Hb. = *Tischeria ekabladelia* Bjerkander).

მავნებელი, წაბლის ნაღმისებური ჩრჩილი (*Cameraria ohridella* Deschka) წაბლის ფოთლის ზედაპირზე, რამოდენიმე ადგილზე დებს თითო-თითო კვერცხს და ლუქებს სხვადასხვა ფორმისა და ზომის, თეთრი, ოლნად რუხი ფერის ლაქებით, რომლის ქვეშ (სურ. 1,2). გამოჩენილი მატლი მთლიანად ჭამს და აზიანებს წაბლის ფოთლის პარენქიმულ ქსოვილს. იგივე მატლი დაფიქსირებულია ცაცხვის ფოთოლზე (სურ. 3).

არანაკლებ საშიში მავნებელია გ. წ. მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი, (*Tischeria complanella* Hb. = *Tischeria ekabladelia* Bjerkander) (სურ. 4-5), რომელიც დღემდე აჭარის მუხნარებში არ დაფიქსირებულა და ამ დროს მეტ-ნაკლებად გავრცელებულია ყველგან. მატლი ფოთლის ზედა ეპიდერმისის ქვეშ ცხოვრობს და პარენქიმის განადგურების შედეგად ფოთლის ზედა მხარეზე სხვადასხვა ფორმის მოთეთრო რუხი ფერის ლაქები (ნაღმები) წარმოიქმნება. ძლიერი დაზიანების შედეგად ფოთლის ზედაპირი მთლიანად რუხი ფერის ხდება. ხის ვარჯი შემოდგომის იერსღებულობს ან კიდევ ყინვისაგან დაზიანებულს მოგვაგონებს (სურ. 6).

ინტენსივში მოპოვებული მასალების საფუძველზე, წაბლის ნაღმისებური ჩრჩილის (*Cameraria ohridella* Deschka) პირველი აფუთქარება დაფიქსირებულია 1985 წელს მაკედონიაში, ოხრიდის ტბასთან ახლოს, ალბანეთის საზღვარზე. რამოდენიმე წლის შემდგომ კი მწერი მასობრივად გავრცელდა სამხრეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში: ავსტრიაში 1989 წელს, უნგრეთში 1997 წელს, 1997), სლოვაკიაში და ჩეხეთში 1993 წელს, ნიდერლანდებში 1998 წელს, ბელგიაში 1999 წელს.

დღეისათვის წაბლის ნაღმისებური ჩრჩილი (*Cameraria ohridella* Deschka) დაფიქსირებულია ევროპის ცენტრალურ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის უმეტეს ქვეყნებში, მათ შორის

უნგრეთში 1997 წელს, ხორვატიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში (შესაძლებელია თურქეთში) და ბოლოს შეაღწია დასავლეთ ინგლისში, ჩრდილო დასავლეთ და საქართველოში 2007 წლის ივლისში.

შედეგები და განხილვა. ხელოსა და შუახევეში წაბლი წმინდა კორომბოსი, ცხენის ქრისი, ერთეული ხეების ან მცირე ჯგუფების სახით შერეულია სხვა მერქნიან-ნახევრეწიან და საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის წაბლნარების საგანგანსხეავეებით, წაბლი როგორც ენდოტიოზის, ასევე ჩრჩილის მიმართ უფრო მდგრადია, თუმცა აქაიქ იშვიათად გვხვდება წაბლის დაავადებული ხეები როგორც ენდოტიოზით, ასევე წაბლის ჩრჩილით.

მწერების ბიოლოგიურ თავისებურებაზე და მათ მიერ გამოწვეულ ზიანზე ჯერჯერობით არაფერს ვწერთ, რადგან მასზე დაკვირვებას ვაგრძელებთ. აღვნიშნავთ, რომ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით წაბლის ჩრჩილის გაუვრცელება ძირითადად ანტროპოგენული ფაქტორებითაა გამოწვეული: ავტომობილების, მატარებლებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებით, ხოლო მათ წინაღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებიდან რეკომენდებული ჩამოცვენილი ფოთლების შეგროვება, დაწვა და ღრმა ორმოში ჩამარხვა. შეიძლება აგრეთვე ხის ქვეშ მყოფი ტერიტორიის დამუშავება რომელიმე ინსექტიციდით.


ჩვენ ხელთ არსებული ლიტერატურული წყაროებით და ინტერნეტით მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ როგორც წაბლის ნადმისებური ჩრჩილი (*Cameraria ohridella* Deschka, ასევე მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (*Tischeria complanella* Hb. = *Tischeria ekebladella* Bjerkander) საშიში საკარანტიო მავნებლებია, და მათზე ევროსაბჭოში სპეციალური პროგრამაა შექმნილი „CONTROCAM“ – აღნიშნული მავნებლის შესწავლისა და ბრძოლის ღონისძიებების შემუშავების შესახებ. ევროპის ქვეყნებში აღნიშნული მავნებლის შემცირება-განადგურების მიზნით გამოყოფილია 2 მილიონი ევრო და მასზე დაკვირვებას აწარმოებენ თანამგზავრებისა და „Web-kamer“-ის საშუალებით.



სურათი 1. წაბლი. ლაქიანობა



სურათი 2. წაბლი. ლაქიანობა



სურათი 3. წაბლის ნადმისებური ჩრჩილი (*Cameraria ohridella* Deschka), ცაცხვის ფოთოლზე



სურათი 4. მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი (*Tischeria complanella* Hb. = *Tischeria ekebladella* Bjerkander).



სურათი 5. მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი",
(*Tischeria complanella* Hb.=
Tischeria ekabladdella Bjerkander



სურათი 6. მუხის ერთფეროვანი ჩრჩილის
(*Tischeria complanella* Hb.= *Tischeria*
ekabladdella Bjerkander), მიერ დაზიანებული
მუხის ფოთოლი

გამოყენებული ლიტერატურა

1. Герасимов А. М. Гусеницы.-М. ; Л. : Наука, 1952.-338 с. (Фауна СССР. Насекомые чешуекрылые; Т. 1. Вып. 2, 4. 1).
2. Garde R. T., Minks, A. K. Control of moth pests mating disruption: Successes and constraints //Annu. Rev. Entomol.-1995-40.-P.559-485.
3. Deschka G., Dimic N. *Gameraria ohridella* n. sp. aus Mazedonien, Jugoslavien (Lepidoptera, Lithocelletidae)// Acta Entomol. Jugosl.-1986.-22, N 1. P. 11-23.

**Распространение нового опасного карантинного вредителя
каштана съедобного и дуба в Западной Грузии**

Васадзе Р. (Батумский Государственный университет Шота Руставели)

В июле-августе 2007 года, нами было изучено санитарное состояние лесов Аджарии. В каштановых и дубовых лесах были обнаружены совершенно новые и очень опасные виды карантинных вредителей – минирующая моль каштана (*Cameraria ohridella* Deschka), которая до настоящего времени не была зафиксирована на территории Грузии и ясно, что его пока еще никто не изучал и однородная моль дуба - [3-2] (*Tischeria complanella* Hb.= *Tischeria ekebladella* Bjerkander)

Приводятся данные о распространении минирующей моли каштана и дуба на территории Грузии. Обобщаются литературные данные о распространении этого вида по странам Южной и Центральной Европы, а также интегрированных методов защиты каштана съедобного и дуба от этого вредителя.

**Distribution of the New Dangerous Quarantine Wrecker of
Chestnut Edible and Oak in the Western Georgia**

R. Vasadze (Shota Rustaveli Batumi State University)

As a result of rapidity of different phyto disease progression and harmful entomofauna on ligneous species in Georgian forests, many cases are known about mass dying of trees like chestnut bark cancer which is caused with marsupial mushrooms (*Griphonectria parasitica*) and in coniferous species it is caused with a big bast-eater (*Ips tipographus*), top bark-eater (*Ips acuminatus* Eichh), an ordinary armoured moths (*Leukaspis Pusilla* Love) and others.


In July and August, 2007, we had studied the sanitarian situation in the forests of Adjara. In chestnut and oak forests we had discovered very dangerous moth pests, the mine-like chestnut moths (*Cameraria ohridella* Deshka), (which had not been appeared on Georgian territory before, certainly they had not been investigated and observed and there is not even special literature describing them) and oak monochromatic moths (*Tischeria companella* Hb.= *Tischeria ekabladdella* Bjerkander).

რ. ჭოგინელი, გ. ჯავახიშვილი, ე. მიდელაშვილი (სსსრუ)

მეცხოველეობის ფერმებში მანქანური წველის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ვიბრაციების მიღებისათვის დენისათვის გამოყენება როტაციული, დეუმანი და ინვეტორული ელექტრომაგნიტური მოძრაობის მიღებისათვის დაკავშირებული არიან ელექტრონული გარდაცემით, ხოლო ამორეაქტივად გამოიყენება ელექტრომაგნიტური, რომელთაც ამუშავების დიდი დენები გააჩნიათ, ეს უკანასკნელი კი იწვევს დამატებით დანაკარგებს და სასოფლო-სამეურნეო ქსელებში დამატებით ძაბვის ვარდნებს.

ამ ნაკლოვანების თავიდან ასაცილებლად, ამბრავის საიმპულსობის და ნაქსელვატაციო თვისებების გასაუმჯობესებლად, დამუშავდა ელექტრომაგნიტური ვიბრომაგნიტური ვიბრაციული ვაკუუმუმოხონი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მეცხოველეობის ფერმებში მანქანური წველისათვის.

არსებული საწველი აპარატის ვაკუუმური მოწყობილობის ხაზში, ჩვენ მიერ რეკომენდებული ვიბრაციული შემბრანიანი ვაკუუმუმოხონი I ორთევა ვაკუუმბალონის II და ტვირთიანი ვაკუუმრეკულატორის III მიმდევრობით. ტექნოლოგიურ ხაზში ასევე ჩართულია ვაკუუმბეჭდი IV, პოლეთილენის სასოლაციო მილი V და მაყუნი VI (ნახ.1). ელექტრომაგნიტური ვაკუუმტუმბო მოცულობითი ტიპისაა. იგი მოიცავს კორპუსს 2, შემწოვ (ვაკუუმურ) 3 და გამწოვ 4 სარქველებს მიდევლებით, ერთტაქტიან ელექტრომაგნიტურ ვიბრომაგნიტურ 5-მსგავსი ფორმის მართკუთხა სტატორით 5, რომლის დეროვებზე განთავსებულია კვების წყაროსთან 6 არსებული სქემით მიერთებული დენის გრანვილები 7, ხოლო დეროვებს შორის მუდმივი საბაერო დრეწობითი $\delta = \delta' + \delta'' = const$ მითავსებულია ღუზა 8. კორპუსსა და სახურავს შორის პორიზირებული მითავსებულია ვიბრომაგნიტური ხაზზე დამატებული დრეკადი გოფირებული მემბრანა 9, რომელიც წარმოადგენს პაერის გამაიშვიათებელ ორგანოს და შემოსახდრავს სახურავის შიგნით არსებულ მუშა კამერას.



ნახ. 1.

ცვლადი ძაბვის მიერთების დროს, ელექტრომაგნიტური ვიბრომაგნიტური გრანვილებში დენის გაელისას წარმოიქმნება ნიშანცვლადი მაგნიტური ნაკადი Φ , რომელიც პერიოდულად მიიზიდავს ან განიზიდავს ღუზას, რის შედეგადაც წარმოიქმნება მემბრანის პერიოდული რხევები. კერძოდ, ღუზის მიზიდვისას ღუზა და დრეკადი გოფირებული მემბრანა გადაადგილდება ვიბრომაგნიტური გულარის სტატორისაკენ. დროის ამ მომენტში იზრდება მუშა კამერის მოცულობა, იღება შემწოვი სარქველი 3, იკეტება გამწოვი სარქველი 4 და პაერი შეიწოვება მუშა კამერაში.

მოხდება პაერის გაიშვიათება ვაკუუმტუმბოს შემწოვ მიდევანილობაში. ელექტრომაგნიტური ვიბრომაგნიტური გულარის დეროვების მიერ ღუზის განიზიდვისას დრეკადი მემბრანის საშუალებით, ღუზა ზევით გადაადგილდება, მცირდება მუშა კამერის მოცულობა, მუშა კამერაში წნევა იზრდება, რაც იწვევს შემწოვი სარქველის დაკეტვას, დროის ამ მომენტში გაიღება გამწოვი სარქველი და პაერი მაყუნის საშუალებით გაიტყორცნება ატმოსფეროში.

ვაკუუმტუმბოს მუშაობისას ვაკუუმსისტემაში პაერის გაიშვიათება ტოლია [3]

$$P_n = z\rho RT, \text{ კპა,} \tag{1}$$

სადაც z არის გაიშვიათების კოეფიციენტი; ρ_2 - წნევა, პაერის ამოქაჩვის შემდეგ, კპა; R - გაზომვის წერტილში პაერის გაიშვიათების მილის ჭრის რადიუსი, მ; T - აბსოლუტური ტემპერატურა, K^0 .

პაერის ხარჯი წველის დროს დამოკიდებულია ვაკუუმის სიდიდეზე, პულსაციის სიხშირეზე, საწველი აპარატის ტიპზე, ვაკუუმტუმბოს მუშა კამერის და იმ სადინარი მილების ტვეადობაზე, რომელშიც ვრცელდება ცვლადი ვაკუუმი. აირის გაიშვიათებისას ვაკუუმში სისტემაში მცირდება p_n -მდე, რომლის მოცულობა არის V [მ³], ხოლო აირის ტვეადობა V_1 [მ³]

$$V = \frac{p_1 V_1}{p_2}, \text{ მ}^3, \tag{2}$$

სადაც p_1 არის ატმოსფერული წნევა, რომლის დროსაც მიმდინარეობს წველა, კპა; V_1 - საწველი აირის საწყისი მოცულობა კამერებში ატმოსფერული წნევის დროს, მ³; $p_2 = p_1 - p_n$ -

კამერებში აბსოლუტური ვაკუუმი, კა.

შესაბამისად, ცველადი კამერის მოცულობა იქნება

$$V = \frac{p_1 V_1}{p_1 - p_n}, \text{ მ}^3, \quad (3)$$

ხოლო საწველი აპარატის მუშაობის დროს პაერის მოცულობა V_c , რეალური ამოიტუმბოს ვაკუუმტუმბოს მუშა კამერის ერთი ციკლის განმავლობაში, ტოლი იქნება

$$V_c = \frac{\pi D^2 X_m}{8}, \text{ მ}^3, \quad (4)$$

სადაც D არის შესაბამისად ვაკუუმტუმბოს მუშა კამერის დიამეტრი, მ; X_m - მემბრანის (ლუხის) გადაადგილების ამპლიტუდა, მ.

მოთხოვნილი პაერის ხარჯი Q [მ³/წმ] ვაკუუმური სისტემის მუშაობისას შესაძლებელია მიახლოებით განსაზღვროს [1]

$$Q = 1,35 W_c (1 + A), \quad (5)$$

სადაც 1,35 არის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს პულსატორის არასრულყოფას; W - პულსაციის სიხშირე, წმ⁻¹; A - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს პაერის გაწონვას საწველი აპარატის ვაკუუმური სისტემიდან.

ვაკუუმტუმბოს ამპრავის წვევის ძალა ტოლია

$$F(t) = \frac{1}{4\sqrt{2}} \mu_0 \frac{(I\omega)^2}{\delta_0^2} = \text{const.} - bhn \cdot \sin \omega t = F \sin \omega t, \text{ ნ}, \quad (6)$$

სადაც $\delta_0 = 2\delta_0^1$ არის მთლიანი საპაერო დრენოს სიდიდე ვიბროამბუნების სტატორისა და პოლუსების შორის, მ; $\mu_0 = 4\pi 10^{-7}$ - დრენოს მაგნიტური მუდმივა, პნ/მ; I - გრაგნილში გამავალი დენის ეფექტური მნიშვნელობა, ა; ω - სტატორის დეროებზე მოთავსებული გრაგნილების ხვიათა რიცხვი; b - პოლუსების სიგანე, მ; h - პოლუსების სიგრძე, მ; $n = (0,5 - 0,1)$ - ღუხის პოლუსის საწყისი მდებარეობის განმსაზღვრელი სტატორის პოლუსთან.

ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ვაკუუმტუმბოს ღუხის (მემბრანის) მყისა გადაადგილების სიდიდე ტოლია [4, 5]

$$x = \frac{F_m}{m\sqrt{(\omega_0^2 - \omega^2)^2 + 4\gamma^2\omega^2}} \sin(\omega t - \beta) = X_m \sin(\omega t - \beta), \quad (7)$$

სადაც $2\gamma = \frac{\lambda}{m}$; $\omega_0^2 = \frac{c}{m}$; $m = m_0 + m_D$ არის ვაკუუმტუმბოს უქში და დამატებითი მასა,

კე; $\omega_0 = \sqrt{\frac{c}{m}}$ - ვაკუუმტუმბოს სისტემის საკუთარი სიხშირე, წმ⁻¹; c - სიხისტის კოეფიციენტი,

ნ/მ; λ - ბლანტი ხახუნის დინამიკური კოეფიციენტი, კგ/წმ; $\beta = -\arctg \frac{2\gamma\omega}{\omega_0^2 - \omega^2}$ - ძერის კუთხე

იძულებით ძალას $F(t)$ და ღუხის (მემბრანის) გადაადგილებას x შორის.

ვაკუუმტუმბოს სრული სიმძლავრე განისაზღვრება

$$S_n = \frac{FX}{\eta t}, \text{ ვა}, \quad (8)$$

სადაც F არის ვაკუუმტუმბოს წვევის ძალის ეფექტური მნიშვნელობა, ნ; X - ღუხის (მემბრანის) ამპლიტუდის ეფექტური ნიშნელობა, მ; $\eta = (0,89 - 0,95)$ - ვაკუუმტუმბოს მ.ქ.კ.; t - დრო, წმ.

ვიბროვაკუუმტუმბოს მუშაობისათვის საჭირო სიმძლავრე დამოკიდებულია საკუთარი და იძულებითი სიხშირეების ფარდობაზე, რომელიც აისახება მემბრანის გადაადგილებაზე და შესაბამისად, მის მწარმოებლობაზე.

განხილული ვაკუუმტუმბო მარტივი კონსტრუქციისაა, ადვილია მისი გაწვობა და რემონტი, ხასიათდება თანაბარი რხევითი და ნიშანცვლადი მომენტის სიმეტრიულობით. მასში გაუმჯობესებულია ენერგეტიკული და საექსპლუატაციო მახასიათებლები, გააჩნია მაღალი მქკ და მწარმოებლობა, ადვილი არა აქვს ღუხის შეჯახებას გულარასთან, რითაც იზრდება მისი მუშაობის მდგრადობა და საიმედოობა.

გამოყენებული ლიტერატურა

2. რ. ქსოურელი, ი. მიწაშვილი, ნ. ქსოურელი, ვ. ბაღანიძე. ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ტუმბო საქართველოს პატენტი GE P 3102 B, ბიულეტენი №11 თბილისი, 2003.
3. ვ. ქეშელიძე, ნ. სურგულაძე. წველის სამუშაო პროცესის მექანიზაცია და საწველი მანქანის კონსტრუქციის საფუძვლები. სსსი, თბილისი, 1974. 67 გვ.
4. რ. ქსოურელი, ვ. ჯავახიშვილი, ნ. ქსოურელი, ვ. მიდელაშვილი. ელექტრომაგნიტური ვიბრაციული ტუმბო საქართველოს პატენტი გამოგონებაზე. GE P3180 B, საქართველოს ინტელექტუალური საკონსტრუქციო ცენტრი „საქპატენტ“-ის ბიულეტენი №20, 2003.
5. Вибрации в технике: Справочник. В 6-ти т. Т.4. Вибрационные процессы и машины. 1981. 509с.
6. R. Ksovreli, G. Javakhishvili – Push-Pull Electromagnetic Vibrating Submersible Pump. Bulletin of the Georgian Akademi of Sciences, 172, №3, 2005.

Доильный аппарат с вибрационным вакуум-насосным приводом

Ксоврели Р.И., Джавахишвили Г.А., Миделашвили Э.О. (ГТХУ)

В статье представлена конструкция вибрационного вакуум-насоса, который можно использовать для привода доильного аппарата. Расчётная мощность для насоса зависит от отношения собственной и принудительной частоты. Во время доения расход воздуха является функцией величины вакуума, частоты пульсаций, типа доильного аппарата, рабочей камеры вибрационного вакуум-насоса и от емкости трубы, в которой распространяется вакуум. В доильном аппарате уменьшаются эксплуатационные затраты, повышается надёжность рабочих процессов и энергетические показатели. Не имеет место столкновение между движущимися частями и возрастает продолжительность работы и устойчивость вакуум-насоса.

The Milking Device with a Vibrating Vacuum Pump Drive

R. Ksovreli, G. Javakhishvili, E. Midelashvili

In article it is submitted a design of the vibrating vacuum pump, which enables to use it for a drive of the milking device. Settlement capacity for its job to overestimate from the attitude of own and compulsory frequency. During milking the charge of air to overestimate from size of vacuum, frequency of pulsations, such as the milking device, the working chamber of the vibrating vacuum pump and from capacity of a pipe in which the vacuum is distributed. In the milking device decreases operational expenses, reliability of working processes and power parameters raises. Collision between driving parts does not take place and operation time and stability of the vacuum pump grows.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის აპარატული დევიკების მქონე დეტალების რაოდენობის ალბათობით-სტატისტიკური მოდელირება

ჯ. კაციტაძე, ა. ხაზანიშვილი, ვ. დარნიაშვილი, ა. კახანაძე (სსსსუ)

ნაშრომში განხილულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ავარიული დევიკების მქონე დეტალების პროგნოზირების მეთოდიკა და მოცემულია შესაბამისი ალბათურ-სტატისტიკური მოდელი.

შესავალი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტის დროს ხდება მანქანების დაშლა აგრეგატებად, კვანძებად და დეტალებად, გასუფთავება და დეტალების დახარისხება მათი ვარგისიანობის დადგენის მიზნით. დახარისხება ხდება სამ ჯგუფად: ვარგის, უვარგის და აღსადგენ დეტალებად.

ვარგისი და აღსადგენი დეტალების რაოდენობის განსაზღვრის მეთოდიკა ალბათურ სტატისტიკური მოდელირებით წარმოდგენილია ნაშრომში [1], რომელშიც თეორიულად და ექსპერიმენტულად დასაბუთებულია ნამუშევარი დეტალებისათვის შესაბამისი კოეფიციენტები. ნაშრომში გათვალისწინებული არ არის ისეთი დეტალები, რომლებიც ხანიათდებთან ავარიული დევიკებით და ექვემდებარებიან წუნდებას. აღნიშნული საკითხის მეცნიერულად დასაბუთების მიზნით, ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა სტატისტიკური კვლევები, რომლის შედეგებიც დამუშავდა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით [2, 3].

ალბათობის თეორიის თანახმად [2], თუ რამდენიმე ხდომილება ქმნის უთავსებადი ხდომილებობის სრულ სისტემას, მაშინ მათი ალბათობათა ჯამი ერთის ტოლია. მასწავლა შემდეგნაირად დაგვიწეროთ:

$$P_1 + P_2 + P_3 = 1,$$

სადაც: P_1 -არის ნამუშევარი დეტალების შეცვლის ალბათობა ავარიული დევიკების გამო; P_2 და P_3 - შესაბამისად დეტალების ვარგისიანობისა და აღდგენის ალბათობანი.

ცხვ. 1. შტობლოკ „სუპერ-610“-ის გადაცემათა კოდების კორპუსის დევიკირების შედეგები

ინტერვალის ნომერი	წინდელი დეტალების რაოდენობა პარტიაში n	პარტიათა რიცხვი (ემპირული სისხრე) m	ფარდობითი სისხრე w_i
1	0	4	0,3334
2	1	4	0,3334
3	2	3	0,2500
4	3	1	0,0832
5	4	0	0,0
6	5	0	0,0
7	6	0	0,0
	ჯამი	12	1,00

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, P_2 და P_3 ალბათობათა დასაბუთება მოცემულია ნაშრომში [1]. წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ მოგვეხიზინა ავარიული დეფექტების მქონე დეტალების ალბათობის დასაბუთება, ამისათვის ვაწარმოებდით მოტობლოკ "სუპერ-610"-ის კოლოფის კორპუსის გაზომვების მათი ავარიული დეფექტების დადგენის მიზნით. წინამდებარე დეტალის დეტალური აღწერა მოცემულია სურათზე და შედგება შემდეგგვარად: დეტალის დასაბუთება, რომელსაც გაანდნათ ამონატეხები და საჭიროების შემთხვევაში ბზარები.

მიკრომეტრულ ექვემდებარებოდა გადაცემათა კოლოფის კორპუსის 12 პარტია, ხოლო თითოეულ პარტიაში იყო 20 დეტალი. გაზომვის შედეგები მოცემულია 1-ელ ცხრილში.

იმის გამო, რომ წინამდებარე დეტალების რაოდენობა შემოწმებულ პარტიაში არის დისკრეტული შემთხვევითი სიდიდე, შედეგების ალბათურ-სტატისტიკური მოდელის მიღებისათვის ვიყენებთ პუასონისეული განაწილების კანონს [2]:

$$P(n_i) = \frac{n_i^{m_i} e^{-m_i}}{n_i!}$$

სადაც n_i არის წინამდებარე დეტალების რიცხვი პარტიაში; n_i - არის განაწილების პუასონისეული კანონის პარამეტრი და წარმოადგენს მათემატიკურ ლოდინს. აღნიშნული განაწილების დისპერსია ტოლია მათემატიკური ლოდინის:

$$D_n = m$$

საშუალო კვადრატული გადახრა :

$$\sigma = \sqrt{m}$$

ვარიაციის კოეფიციენტი:

$$v = \frac{\sqrt{m}}{m}$$

პუასონისეული განაწილების მათემატიკური ლოდინი ტოლია:

$$\bar{n} = \frac{\sum_{i=1}^k n_i m_i}{N}$$

სადაც K არის ინტერვალთა რიცხვი, $K = 7$; m_i - ემპირიული სიხშირე; N - შესამოწმებელ პარტიათა რიცხვი, $N = 12$.

პუასონისეული კანონის პარამეტრების განსაზღვრისათვის ვადგენთ ცხრ. 2-ს

ცხრ. 2. პუასონისეული განაწილების კანონის პარამეტრების დადგენა

ინტერვალის №	წინამდებარე დეტალის რიცხვი, n_i	გაზომულ პარტიათა რიცხვი (ემპირული სიხშირე), m_i	m_i	P_{n_i}	ემპირიული სიხშირე m_{em}	ფარდობითი სიხშირე W_i	$\frac{(m_i - m_{em})^2}{m_{em}}$
1	0	4	0	0,3329	3,99	0,3334	0,5
2	1	4	4	0,3662	4,39	0,3334	0,3346
3	2	3	6	0,2034	2,42	0,2500	0,1990
4	3	1	3	0,0738	0,88	0,0832	0,3164
5	4	0	0	0,0203	0,24	0,0	0,24
6	5	0	0	0,0045	0,05	0,0	0,05
7	6	0	0	0,0008	0,01	0,0	0,01
ჯამი		12	13	0,9999	11,98	1,00	0,49

ცხრილს მიხედვით ვპოულობთ განაწილების პუასონისეული კანონის პარამეტრებს:

$$\bar{n} = \frac{\sum_{i=1}^k n_i m_i}{N} = \frac{13}{12} = 1,1$$

$$D_n = 1,1$$

$$\sigma = \sqrt{1,1} = 1,05$$

$$v = \frac{1,05}{1,1} = 0,95$$

მიღებული შედეგების მიხედვით წინამდებარე დეტალების ალბათობით-სტატისტიკური მოდელს აქვს სახე:

$$P_{(n_i)} = \frac{1,1^{n_i} e^{-1,1}}{n_i!}$$

იმისათვის, რათა შევამოწმოთ მოდელის ადეკვატურობა, ვიყენებთ პირსონის კრიტერი-

უმს [2]. ამისათვის განვსაზღვრავთ χ^2 და r ს, სადაც:

$$\chi^2 = \frac{\sum_{i=1}^k (m_i - m_m)^2}{m_m}$$

m_m - თეორიული სისშირეა და განისაზღვრება ფორმულით:

$$m_m = NP_{(m)}$$

ჩვენ შემთხვევაში მივიღეთ $\chi^2 = 0.49$

r -არის განაწილების კანონის „თავისუფლების ხარისხი“ და ტოლია

$$r = k - \ell$$

სადაც k - სტატისტიკურ რიგში ინტერვალების რიცხვია და $k = 7$.

ℓ -არის „აუცილებელ ბმათა“ რიცხვი, რომელიც პუასონისეული განაწილებისათვის ტოლია

$$\ell = 2.$$

$$\text{ვ.ი. } r = k - \ell = 7 - 2 = 5$$

χ^2 ისა და r -ის მიხედვით სპეციალური ცხრილებიდან [4] ვპოულობთ თეორიული და ემპირული შედეგების დამთხვევის ალბათობას:

$$P(\chi^2) = 0.99$$

ვი. მოდელი აღეკატურია.

ბოლოს განისაზღვრება დეტალების შეცვლის კოეფიციენტი:

$$K_{\eta} = P_{(m)} = n \cdot \frac{100}{T} = 1,1 \cdot \frac{100}{20} = 5,5\% = 0,055$$

სადაც $T = 20$ არის შემოწმებულ პარტიაში დეტალების რიცხვი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მეთოდის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე სხვა მანქანებისა და დეტალების დეფექტირების შემთხვევაშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Чагагандзе Ш.И., Кацитадзе Д.В. Сарджველადзе Н.Н. Теоретическое и экспериментальное обоснование коэффициентов годности и восстановления деталей. Ж. Georgian engineering news, № 1, Тбилиси, 2002 – с. 46-49;
2. ჯ. კაციტაძე. მანქანების საიმედოობა და რემონტი. თბილისი, განათლება, 1989. - 132 გვ.
3. М.А. Масино. Организация восстановления деталей, М.Транспорт, 1981 – 176 с.
4. Э.А. Сухарев. Расчетные модели ремонтных ситуаций и их потоков в машинных парках, Ровно, 2002 – 90с.

Вероятностно-статистическое моделирование деталей сельскохозяйственной техники имеющих аварийные дефекты

Кацитадзе В.В., Хизანიшвили А.А., Дарчиашвили Г.И., Капанадзе И.Г. (ГТСХУ)

Рассматриваются результаты экспериментальных и теоретических исследований дефектации корпусов коробки передач мотоблока "Супер-610". На основе полученных статистических данных по установлению количества деталей, имеющих аварийные дефекты получена вероятностно-статистическая модель, адекватность которой проверена по критерию Пирсона.

Вероятностно-статистическая модель позволяет прогнозировать количество выбракованных деталей отдельных узлов машин и наметить конкретные мероприятия по их устранению.

Доказано, что вероятность замены дефектных деталей удовлетворительно описывается законом Пуассона, поскольку количество выбракованных деталей является дискретной случайной величиной.

Разработанная нами методика вероятностно-статистического моделирования успешно можно использовать и для установления количества деталей с аварийными дефектами других машин.

Probability-statistical Modelling of the Number of Details of Agricultural Technique with Failure Defects

J. Katsitadze, A.Khizanishvili, G. Darchiashvili, I. Kapanadze (GSAU)

There is considered the ways of forecasting the details of number of agricultural technique with failure defects, with application of probability-statistical modelling. There is received the respective mathematical model, which adequacy is checked up with Pirson method.

ბ. ბიხიაშვილი, ვ. შირვაშვილი (სსიპ სსსს), ზ. შაბრბაძე, ა. ლავილია (სსიპ კ. ამირხანის სსიპი)

როდესაც საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (მცირე, საშუალო და დიდი) მოსავლიანობა და ა.შ.) პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზებისათვის უზრუნველყოფა აღნიშნულ პირობებში მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენების მოხანშეწონილობა, უპირატესობა და უწყალობა.

შესავალი. საქართველოს ტერიტორიის 13 % დაბლობის ტიპისაა, 53,6 % - მთის და 33,4 %, მთისწინა ფერდობებს უკავია [1]. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით საკმაოდ შესწავლილია. ამასთან, ცნობილია, რომ მთავრობის ფერდობებზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენების პირობებში (ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა, თანამედროვე ადაპტური ტექნიკური საშუალებების გამოყენება და ა. შ.) შესაძლებელია როგორც ტრადიციული, ისე ადგილობრივ პირობებთან შეგუებული მაღალ მოთხოვნილებად პროდუქციის წარმოება.

დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მთავარ სტრატეგიულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე (ხორბალი, ციმპროდუქტები, შაქარი და სხვ.) ადგილობრივად წარმოებულიდან ურთად ძირითადად იმპორტის საშუალებით ხდება. ეს იმ დროს, როცა სწორად გამოყენების პირობებში, მოცემულ ეტაპზე ყოველი კვადრატული მეტრი სავარგულიდან შესაძლებელია 0,2 ლარიდან (მარცვლეულის, ბოსტნეულის და ა. შ.) 1,5 ლარამდე (კარტოფილის, ხილის და ა. შ.) ღირებულების მოსავლის მიღება და ქვეყნის მოსახლეობის ადგილობრივი პროდუქტით დაკმაყოფილება. ამასთან, გასათვალისწინებელია ის სოციალური, რომელიც საინფორმაციო წყაროებიდან იმის მსოფლიოს მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის შესახებ, რაც თავისთავად საჭიროებს შესაბამისი თადარიგის დაჭერის აუცილებლობას და სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების დასაშუალებების შესრულებას, რათა ქვეყანაში არსებული ის უზარმაზარი რეზერვი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სახით არსებობს, ეფექტურად იქნას გამოყენებული.

პრობლემის არსა. მცირე კონტურიან (ზომის), გორაკ-ორცვიან, ფერდობიან და რთული კონფიგურაციის მქონე ნაკვეთებში სასოფლო-სამეურნეო საშუალებების შესრულება ძირითადად ხელით შრომის ან ცოცხალი ძალის გამოყენებით ხდება, რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და საზოგადოებრივი ინტელექტის თანამედროვე დონესთან საკმაოდ შუთავსებელია და ბევრი უარყოფითი შედეგი აქვს. მიწათმოქმედების და საწარმოო პროცესების მექანიზაციის მიმართულებით, სოფლის მშრომელთა კვალიფიციური მომზადებით და შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით სრულყოფილი აღჭურვილი შესაძლებელი იქნება აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა, რთული მიწათმოქმედების მიკროსონებში სოფლის მეურნეობის წარმოების კომპლექსური მექანიზაციის განხორციელება და ცალკეული რევიონების ნიადაგობრივი და ბუნებრივ-საწარმოო პირობების შესაბამისად, ყოველი კვადრატული მეტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ეკოლოგიური დაზიანების გარეშე მაქსიმალური ეფექტით გამოყენება. აღნიშნული, გარკვეულწილად, ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება სოფლად ადამიანების დასაქმება-დამაგრებისა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, რასაც თავისთავად ახლავს სხვა დადებითი მოვლენები.

პრობლემის გადაწყვეტის საშუალებები. როდესაც რელიეფური, მთავრობის და მცირეკონტურიან სავარგულებზე თანამედროვე მძლავრი და მაღალწარმოებლური სტრატეგიული ტექნიკის გამოყენება უმეტესად შეუძლებელი ან ეკონომიკური, ტექნიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია. ასეთ პირობებში უფრო ეფექტურია მცირე გაბარიტიანი, დაბალი სიმძლავრის და გარემო პირობებთან ადაპტირებული ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

აკად. რ. შაბრბაძის განმარტებით „მცირე და დიდ მექანიზაციის შორის ზუსტი სადემარკაციო საზღვრის გაკლება შეუძლებელია ...“ [2]. მცირე მექანიზაციის ენერგეტიკული საშუალებები ძირითადად 12 კვტ-მდე სიმძლავრისაა, ხოლო ტექნოლოგიური მაქსიმუმი მცირე წონის და გაბარიტების მქონე ტექნიკურ საშუალებებს წარმოადგენს.

მცირე მექანიზაციისთვის ენერგეტიკულ საშუალებებად გამოიყენებიან მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები, მოტობლოკები, ენერგობლოკები, მოტორიზებული ან ელექტროფიციურიზებული იარაღები.

მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი, ეს არის უნივერსალური მობილური ენერგეტიკული საშუალება, რომელსაც აქვს ორდერმიანი თვლებიანი შასი ან მუხლუხა საგადა ნაწილი.

მოტობლოკი უნივერსალური ენერგეტიკული საშუალებებია, რომელიც ერთდერმიანი შასის ბაზაზეა აწყობილი და შტანგებიანი ბერკეტების საშუალებით იმართება კვადში მიმყოფი ოპერატორის მიერ.

ენერგობლოკი, ეს არის მოტობლოკი გასაცალკევებული (სწრაფად სახსნელი) ძრავიანი

კვანძო, რომელიც იცავს სპეციალურ ტექნოლოგიურ შასზე.

მოტორიზებული ან ელექტროფიციერებული იარაღები წარმოადგენენ სპეციალიზირებულ, ერთდანიშნულებიან თვითმავალ იარაღებს, რომლებიც განკუთვნილი არიან მხოლოდ ერთ ან ტექნოლოგიურად ახლოს მყოფი რამდენიმე ოპერაციის შესასრულებლად.

აღნიშნული ენერგეტიკული საშუალებების გამოყენება ეფექტურია ისეთ კონსტრუქციებში, სადაც ტრადიციული დიდი მექანიზაციის საშუალებათა გამოყენება ტექნიკურად, მშენებლობით ან სხვადასხვა მიზეზებით გაუმართლებელია. შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო მანქანების შლიეფის გამოყენებით აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური ოპერაციების შესრულებას ტრაქტორმიუდგომულ, როულ რელიეფურ ან მცირე კონტურიან ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებისათვის.

თეორული დასაბუთება. მცირე მექანიზაციის გამოყენების ეფექტიანობის დასაბუთება შესაძლებელია ნებისმიერი მარტივი განავარიშებით. მაგალითად, მოტობლოკ „სუპერ-610“-ის ბაზაზე შედგენილი სახნავი ავრეგატის („სუპერ-610“ + ერთკორპუსიანი საბრუნო გუთანის) საათური მწარმოებლობა ცნობილი ფორმულის ($W = 0,1B_1V_1r$) მიხედვით,

სადაც B_1 არის სასოფლო-სამეურნეო მანქანის მოდების განი, $B_1 = 0,2$ მ; V_1 - ავრეგატის სამუშაო სიჩქარე, $V_1 = 1,5$ კმ/სთ; r - ცვლის დროის გამოყენების კოეფიციენტი. $r = 0,5...0,7$, შეადგენს $W = 0,1 \times 0,2 \times 1,5 \times (0,5...0,7) = 0,015...0,021$ ჰა/სთ = $150...210$ მ²/სთ.

„კუთაისი-718“ ტიპის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორისათვის აღნიშნული მაჩვენებლები იმავე ოპერაციაზე შეადგენენ: $B_2 = 0,3$ მ; $V_2 = 5,5$ კმ/სთ.,

$$W = 0,1 \times 0,3 \times 5,5 \times (0,5...0,7) = 0,0825...0,1155 \text{ ჰა/სთ} = 825...1155 \text{ მ}^2/\text{სთ}.$$

შრომისუნარიანი მუშა, ბარის საშუალებით, ერთ საათში ამუშავებს საშუალო სიმკვრივის მქონე $10 \dots 12$ მ² მიწის ფართობს, ხოლო ცოცხალი ძალის გამოყენებით შესაძლებელია $200 \dots 400$ მ² მიწის ფართობის დამუშავება.

ზემოთ მოყვანილი მარტივი გათვლებით ცხადი ხდება მცირე მექანიზაციის ეფექტურობა როგორც ხეღით, ისე ცოცხალი ძალის გამოყენებასთან შედარებით.

ანალოგიური ეფექტებია არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისას, არამედ მეცხოველეობის ფერმებში (საკვების მიტანა და დარიგება, ნაკელის გატანა და ა. შ.) და სხვა სამუშაოების ჩატარების დროსაც (მცირე მოცულობის ტვირთების გადაზიდვა). მაგალითად, მცირე წონის ტვირთების (0,1 - 0,5 ტ) შიდა სამეურნეო გადაზიდვისას მოტობლოკ „სუპერ-610“-ის ბაზაზე შედგენილი სატრანსპორტო ავრეგატისათვის („სუპერ-610“+ მისაბმელი „ტობ-350“) ორ კმ-მდე მანძილზე (მაგ. ფერმიდან გადაამუშავებულ საწარმომდე და პირქით) ტკმ-ით გამოსახული ერთ რეისის მწარმოებლობა W_R შედგევი საწყისი მონაცემებით:

- ა) მისაბმელის ტვირთამწვეობა, $Q = 0,35$ ტ;
- ბ) ტვირთამწვეობის გამოყენების კოეფიციენტი, $\gamma = 0,85 - 0,90$;
- გ) ტვირთის გადაზიდვის საერთო მანძილი, $L = 4$ კმ;
- დ) მოტობლოკის სატრანსპორტო სიჩქარე, $V = 3 - 5$ კმ/სთ;
- ე) გარბენის გამოყენების კოეფიციენტი, $b = \frac{Q_b}{Q_n} = 0,5$;

შეადგენს

$$W_R = Q \gamma L = 0,35 \times 0,85 \times 4 = 1,26 \text{ ტკმ/რეისზე,}$$

ხოლო საათური მწარმოებლობა ტოლია

$$W_R = Q \gamma V b r = 0,35 \times 0,9 \times 4 \times 0,5 \times 0,8 = 0,504 \approx 0,5 \text{ ტკმ/სთ.}$$

აღნიშნულ სამუშაოზე დიდი ტვირთამწვეობის სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ზრდის საქსპლუატიციო ხარჯებს და აუარესებს საერთო ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რაც ასეთ პირობებში, მცირე მექანიზაციის გამოყენების გარანტირებული ეფექტურობის წინა პირობაა.

შედეგების ანალიზი. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისეთ ვითარებაში, როდესაც ადამიანებში (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში) ფიზიკური შრომის სურვილი ნულამდე დასული და მექანიზებული ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე თითქმის აღარც მოიაზრება, საჭიროა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა რეალიზება და ეფექტიანი გამოყენება ყოველი კონკრეტული ვითარების შესაბამისად, რათა მოცემული პირობების გათვალისწინებით განხორციელდეს სოფლის მეურნეობის წარმოების კომპლექსური მექანიზაცია, რომელიც ხეღით შრომას გადაიყვანს მხოლოდ გამოყენებული მანქანების მართვასა და მომსახურებაზე.

მოცემულ შემთხვევაში საჭიროა როდესაც რელიეფურ და მცირეკონტურნიან ნაკვეთებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების თანამედროვე პროგრესული ტექნოლოგიებით წარმოებისათვის ეფექტურად იქნას გამოყენებული ტექნიკურ საშუალებათა ის დიდი რეზერვი, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო-საპრაქტიკული საქმიანობის შედეგად მცირე მექანიზაციის გამოყენებითაა შესაძლებელი. კერძოდ, ვითარების შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნება დამახარბიებელი ღონისძიებები მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებაში ან სახელშეკრულებო ფორმით მოქმედი დიდიერული საწარმოების შექმნა, რომლებიც კონკრეტული მდგომარეობის შესაბამისად მოახდენენ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მობილიზებას და განახორციელებენ არსებული სავარგულების თესლობრუნვაში ჩართვას და მათზე კონტროლს.

დასკვნა. 1) ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეფასებულია როდესაც რელიეფურ პირობებში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტიანი გამოყენების მნიშვნელობა;

2) კონკრეტული გაანგარიშებების მიხედვით დადგენილია მთავორიანი და როდესაც კონფიგურაციის ნაკვეთებში, აგრეთვე წვრილ-გლეხურ ან ფერმერულ მეურნეობებში მცირე მექანიზაციის ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა;

3) განსაზღვრულია მცირე მექანიზაციის საშუალებათა სარეკომენდაციო ნომენკლატურა როგორც ენერგეტიკული, ისე ტექნოლოგიური საშუალებების სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. კერესელიძე, რ. მახარბიძე. სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის აქტუალობისა და ტრაქტორ-ფერდობავლის შექმნის თანამედროვე მიმართულებების შესახებ. "საბჭოთა საკართველო", თბილისი, 1979 წ. (რუსულ ენაზე);
2. რ. მახარბიძე, თ. იაშვილი. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის განვითარების თანამედროვე მსოფლიო ტენდენციები, სტამბა შპს "კაბადონი", თბილისი 2000, 199 გვ;
3. რ. მახარბიძე. საკართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის საინჟინრო სფეროს მომავალი, თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 1997, 112 გვ;
4. მცირე მექანიზაციის საშუალებები სოფლის მეურნეობისათვის - კატალოგი, "ინფორმაგროტექსი", მოსკოვი, 1990, (რუსულ ენაზე) 45 გვ.

Обоснование эффективности использования технических средств мелкой механизации в производственных процессах сельского хозяйства

Басилашвили Б.Б., Мируашвили В.З. (ГТСХУ),
Махароблидзе З.К., Лагвилава И.М. (Институт сельскохозяйственной механизации
и электрификации Грузии - ИСМЭГ)

Разнообразие и спецификация сельскохозяйственных угодий (равнинных, склоновых, горно-холмистых, мелкоконтурных, массивных, поливных, влажных и др.) обуславливают необходимость разнообразного подхода в направлении механизации сельскохозяйственного производства в Грузии.

В статье рассмотрен вопрос необходимости проведения соответствующих мероприятий для продуктивной стабильности и эффективного использования высокоплодородных сельскохозяйственных угодий в сложных природно-производственных условиях. В частности, обоснован вопрос, что на тех сельскохозяйственных угодьях, где использование крупной механизации невозможно или экономически неоправданно с технико-экологической точки зрения не использующих с соответствующей эффективностью, поскольку ручной труд не даёт этой возможности. Обеспечение соответствующих технических механических средств на этом этапе довольно на низком уровне, что делает невозможным внедрение комплексной механизации в сельскохозяйственное производство.

Обеспечение подвижной хозяйственной формы для характерных регионов при помощи средств малой механизации (продажа путем лизинга, создание арендных списков и т.д.) на определённом уровне поможет в решении отмеченной проблемы.

Substantiation of Efficient Use of Small Mechanization Technical Equipment in Industrial and Agricultural Processes

B. Basilashvili, V. Mirushvili (GSAU),
Z. Makharbelidze, M. Lagvilava (Institute for Agricultural Mechanization
and Electrification of Georgia)

Variety and specification of agricultural land (plain, spole, mountain-hilly, small outline, massive, irrigating, damp and etc.) stipulate necessity of diverse approach in direction of agricultural production mechanization throughout Georgia.

The article considers the question on necessity of implementation of correspondent measures for effective stability and usage of highly fertile agricultural land in difficult natural and industrial conditions in certain regions. In particular it is considered that these agricultural land where it's impossible or not justified economically from technical and ecological point of view to use large mechanization, aren't being used with correspondent efficiency because of their potential ability as manual work doesn't provide such opportunity. By use of correspondent technical and mechanical means maintenance is rather low on this stage so that it's impossible to implement complex mechanization in agricultural production in such conditions.

Maintenance of mobile economic form for characteristic regions by usage of small mechanization (sale by way of leasing, creation of rent lists etc) on certain level will be of help by solution of the mentioned issue.



შესწავლილია მოგრებილი ჩაის ფოთლის დამზარისხეველი მანქანების საექსპლუატაციო საინჟინერო საინჟინერო სტატისტიკური მანქანები. განხილულია რამდენიმე ჩაის ფაბრიკაში დამზარისხეველი მანქანების მუშაობის ხანგრძლივობისა და რემონტის დროს განაწილების კანონზომიერებანი. დადგენილია მანქანების მწყობრიდან გამოსვლის ძირითადი მიზეზები, რეკომენდებულია დამზარისხეველი მანქანების საიმედოობის ამაღლების ღონისძიებანი.

შეჯავალი. დამზარისხეველი მანქანის საიმედოობა აღნიშნავს მის უნარს უწყვეტად დააბარისხოს ჩაის ფოთოლი წინასწარ დადგენილი მწარმოებლურობით და საჭირო სიხუსტით, ექსპლუატაციის მთელი პერიოდის განმავლობაში მომსახურებისა და რემონტზე დადგენილი დანახარჯების გაწევის პირობებში.

თანამედროვე ჩაის დამზარისხეველი მანქანები წარმოადგენენ რთულ ტექნიკურ სისტემებს, რომლებიც შედგებიან მრავალი ურთიერთდაკავშირებული კვანძებისა და დეტალებისაგან. ექსპლუატაციის პირობებში აღნიშნული მანქანების საიმედოობა მცირდება მათი დეტალების და კვანძების ცვეთის, კოროზიისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენით. საიმედოობის ოპტიმალური დონის შენარჩუნებას ართულებს დამზარისხეველი მანქანების მუშაობის მიმე პირობები: ართანაბარი დატვირთვა, მტვერიანობა, ვიბრაციები, პროდუქტების აგრესიული გარემო, პროდუქტის წებვადობა, აბრაზიული ნაწილაკები, აგრეთვე მომსახურე და სარემონტო პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია. [2]

ობიექტის კვლევა. საერთოდ, ტექნოლოგიური მოწყობილობის მუშაობის პროცესში ნებისმიერი გაჩერება იწვევს ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევას და შესაბამისად, გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ამიტომ ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული მანქანის ნებისმიერი გაჩერება ამცირებს მის საიმედოობას.

ჩაის დამზარისხეველ მანქანებში არ გამოიყენება ელემენტების სარეზერვო (პარალელური) შეერთება, როდესაც ერთ-ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მუშაობაში ჩაერთვება მისი სარეზერვო ელემენტი და მანქანა მწყობრიდან გამოვა და გაჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მისი ყველა სარეზერვო ელემენტი გამოვა მწყობრიდან. დამზარისხეველი და, საერთოდ ჩაის გადამამუშავებელი, მანქანების ელემენტები ერთმანეთთან მიმდევრობითაა შეერთებული და ნებისმიერი მათგანის მწყობრიდან გამოსვლა განაპირობებს მილიანად მანქანის მწყობრიდან გამოსვლას [1].

ჩაის დამზარისხეველი მანქანების საექსპლუატაციო სტატისტიკური მახასიათებლების მისაღებად ჩაის ფაბრიკებში ჩატარებული იქნა დამზარისხეველი მანქანების მუშაობისა და გაჩერებების ხანგრძლივობის აღრიცხვა.

სპეციალურ კურნალებში აღინიშნებოდა მანქანის ტიპი, მწყობრიდან გამოსული კვანძის, ან დეტალის დასახელება, მწყობრიდან გამოსვლის სახე, მწყობრიდან გამოსვლის მიზეზი, აგრეთვე მანქანის მწყობრში კვლავ ჩაყენებისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობა.

დაკორევა მიმდინარეობდა ყოველ მანქანაზე ყოველდღიურად, ყოველ ცვლაში სამი სეზონის განმავლობაში.

ცდის შედეგებმა გვიჩვენა, რომ დამზარისხეველი მანქანების ექსპლუატაციის პერიოდში ადგილი ჰქონდა მანქანების საკმაოდ ხშირ გამოსვლას მწყობრიდან. ცხრილში 1 მოყვანილია ცდის შედეგად

ცხრ. 1.

ჩაის ფოთლის გადამამუშავების ხესონი	მანქანების რაოდენობა, ცალი	მუშაობის ვაჭური ხანგრძლივობის სთ.	მწყობრიდან გამოსვლის რაოდენობა, ცალი	მანქანის მწყობრში ჩაყენებისათვის საჭირო დრო სთ.
I ხესონი	12	24364	54	433
II ხესონი	17	34457	82	678
III ხესონი	21	44571	111	927

მიღებული სტატისტიკური მონაცემები. სამი სეზონის განმავლობაში. მანქანების საიმედო მუშაობის ხანგრძლივობისა და რემონტის დროს განაწილების კანონის განსახილველისათვის საწყის პირობებზე გამოიყენება მათი კონტროლის ქვეშ ექსპლუატაციის პროცესში შეკრებილი მონაცემები. ამასთან, გამოვიდოდით საიმედოობის თეორიის საერთო პირობებიდან.

შედეგები. დადგინდა, რომ მანქანის საიმედო მუშაობის დროს შემთხვევითი სიდიდები განაწილებულია ექსპონენციალური კანონით, ხოლო მანქანის მწყობრში ჩაყენებისათვის საჭირო დროის შემთხვევითი ხანგრძლივობა გამოიხატება გამა-განაწილებით, ამიტომ t დროის განმავლობაში მანქანის საიმედო მუშაობის ალბათობა (P_0) გამოისახება დამოკიდებულებით.

$$P_0(t) = e^{-\frac{t}{T_0}} \quad (1)$$

სადაც T_0 არის მანქანის მწყობრიდან გამოსვლამდე მუშაობის ხანგრძლივობა.

მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში სიდიდების განაწილებები კანონით, რომელიც ახასიათებს მანქანის საიმედოობას, საშუალებას გაძაღვს განესაზღვროს საიმედოობის ზღვრები (ინტერვალები).

მიღებული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამზარისხებელი მანქანების მწყობრიდან გამოსვლის მიზეზს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს მისი ელემენტების მშრულად შებენილი ერთობლიობა, კერძოდ დამზარისხებელი ბადეები, ბადეების მშენებლობა და მათი ჩარჩოს დასაყენებელი თითები და მათი რეზინის საკისრები. მწყობრიდან გამოსვლითა შიდაგებით ნაკლები რაოდენობა (დაახლოებით 12%) მოდის ცალკეული კვანძებისა და დეტალების ცვეთაზე.

მანქანის კვანძებისა და ძირითადი დეტალების გამძლეობა განისაზღვრება მათი რემონტიდან რემონტამდე მუშაობის ხანგრძლივობით. როგორც წესი, მანქანის სხვადასხვა დეტალებსა და კვანძებს განსხვავებული ხანგრძლივობა ახასიათებს. სწორედ ეს ქმნის შიდაგად მანქანის ხანგრძლივობის სირთულეს.

დეტალების მუშაობის ხანგრძლივობა შეიძლება ჩაითვალოს დადგენილად, თუ ცნობილია მისი ზღვრული ცვეთის სიდიდე და ამ ცვეთის ზრდის დინამიკის კანონზომიერება მისი მუშაობის დროისაგან დამოკიდებულებით. ყველა დეტალის მუშაობის ხანგრძლივობა, უბირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მუშაობის პროცესში მასზე მოქმედი დაზიანებების სახესა და სიდიდეზე.

დეტალების დაზიანების ნებისმიერი სახე შეიძლება დაიყოს ბუნებრივ და ავარიულ დაზიანებებად. ბუნებრივს მიეკუთვნება ის დაზიანებები, რომლებიც ვითარდებიან წინასწარ დადგენილი კანონზომიერებით და აღწევენ ზღვრულ მნიშვნელობას წინასწარ დადგენილ ვადაში. ავარიული დაზიანებები არ ემორჩილებიან წინასწარ დადგენილ რაიმე კანონზომიერებას და, როგორც წესი, ზღვრულ მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევენ დადგენილ ვადაზე გაცილებით ადრე.

დეტალის დაზიანების ზღვრული სიდიდე წარმოადგენს მისი მუშაუნარიანობის კრიტერიუმს. ნებისმიერი დეტალის მუშაუნარიანობის ძირითად კრიტერიუმებს წარმოადგენენ: 1) დეტალის მუშაობის საიმედოობა, როდესაც მისი მუშაობის ფაქტური ვადა აღემატება მუშაობის ვადის ანგარიშით მიღებულ მნიშვნელობას ($T_{ფაქტ} \geq T_{ანგ}$); 2) დეტალის ეკონომიურობის პირობა, როდესაც მისი ყველა დადგენისათვის გაწეული ხარჯები ნაკლებია იმავე დეტალის ახლად დამზადების ხარჯებზე ($C_{რემ} < C_{ახლ}$).

ყველა ცალკეული დეტალის ნაანგარიშები მუშაობის ხანგრძლივობა მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ყველა დანარჩენი დეტალების მუშაობის ხანგრძლივობასთან, საიმედოობასთან და ეკონომიურობასთან.

სწრაფად ცვეთადი დეტალების მუშაობის ხანგრძლივობის დადგენა ხდება სამარაგო ნაწილების ხვედრითი ხარჯის სტატისტიკური ანალიზის მეთოდით, ამისათვის თავდაპირველად განისაზღვრება მანქანაზე ერთი წლის განმავლობაში საჭირო სამარაგო ნაწილების რაოდენობა ($\Pi_{წლ}$), რომელიც წარმოადგენს ამ ნაწილების მანქანაზე დაყენებული რაოდენობის ($\Pi_{დაყ}$) და რემონტების დროს გამოყენებული რაოდენობის ($\Pi_{რემ}$) ჯამს. $\Pi_{წლ} = \Pi_{დაყ} + \Pi_{რემ}$ (2)

თუ ცნობილია საწარმოში, ან საწარმოთა ჯგუფში, ერთდროულად მომუშავე მანქანების რაოდენობა ($N_{მან}$) და ერთი წლის განმავლობაში ამ მანქანებისათვის გამოყენებული მოცემული დასახელების სამარაგო დეტალების რაოდენობა (Z), მაშინ სამარაგო დეტალების ხვედრითი ხარჯი ტოლი იქნება: $\Pi_{წლ} = \frac{Z}{N_{მან}}$ (3)

ხოლო რემონტისათვის საჭირო სამარაგო დეტალების ხვედრითი ხარჯი იქნება: $\Pi_{რემ} = \frac{b}{N_{რემ}}$ (4)

სადაც b არის სამარაგო ნაწილების საერთო რაოდენობიდან მოცემული დასახელების ახალი დეტალების რაოდენობა, $\Pi_{რემ}$ - მანქანათა ის რაოდენობაა, რომლებსაც დასაჭირდათ კაპიტალური რემონტი ერთი წლის განმავლობაში.


დეტალების განმეორებითი გამოყენების კოეფიციენტი ტოლია $K = \frac{mN_{რემ} - b}{mN_{რემ}}$ (5)

სადაც m არის მანქანაში ერთი ტიპის დეტალების რაოდენობა. რემონტის პროცესში დეტალების ხვედრითი ხარჯი და განმეორებითი გამოყენების კოეფიციენტი ერთმანეთთან დაკავშირებულია შემდეგი დამოკიდებულებით $\Pi_{რემ} = m(1-K)$. (6)

თუ ჩავსვათ $\Pi_{წლ}$ და $\Pi_{რემ}$ მნიშვნელობებს (2)-ში, მივიღებთ $\Pi_{წლ} = \frac{Z}{N_{მან}} + m(1-K)$. (7)

თუ ვიცით მანქანის რემონტებს შორის დროის ხანგრძლივობა თვეებში (T_ა) მაშინ შევიძლია განვსაზღვროთ დეტალის საშუალო მუშაობის ხანგრძლივობა

$$T = \frac{mT_a}{\frac{Z}{N_{აგმ}} + m(1-K)}$$



დეტალის განმეორებითი გამოყენების კოეფიციენტი შეიძლება გავადიდოთ, თუ ავაზღვრებთ მის ცვეთამდებობას და მასალის სიმტკიცეს.

დასკვნა. ტექნიკური თვალსაზრისით მანქანის რემონტი მიზანშეწონილია, თუ გაცვეთილი დეტალების შეცვლით შესაძლებელია მისი მუშაუნარიანობის აღდგენა.

ტექნოლოგიური მოწყობილობის დეტალების და კვანძების საიმედოობის ამაღლების ღონისძიებები შეიძლება გაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: კონსტრუქციული, დამზადების დროს და ექსპლუატაციის დროს.

დეტალებისა და კვანძების საიმედოობისა და ხანგრძლივობის ამაღლების ძირითად კონსტრუქციულ ღონისძიებებს მიეკუთვნება: მინიმალური ცვეთის გამომწვევი ოპტიმალური დატვირთვებისა და წნევების შერჩევა მუშა ზედაპირებზე, დატვირთვების რაციონალური განაწილება, სიმტკიცის მარაგის ოპტიმალური მნიშვნელობების შერჩევა, შეუსთვის ოპტიმალური სისტემის უზრუნველყოფა, ურთიერთდაკავშირებული დეტალებისათვის ოპტიმალური დრეზებისა და ჩასმების შერჩევა, ექსპლუატაციის პროცესში მათი შენარჩუნების პირობების უზრუნველყოფა და ა.შ.

დამზადების დროს საიმედოობის ამაღლების ძირითად ღონისძიებებს მიეკუთვნება: ახალი, თანამედროვე მასალების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ტემპერატურულ, ანტიკოროზიულ აგრესიულ გარემოს მიმართ მდებობას, დეტალების სიმტკიცისა და ცვეთამდებობის ამაღლებას თერმული დამუშავების გზით და ა.შ.

საიმედოობის ამაღლების საექსპლუატაციო ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ტექნიკური მომსახურების ვადების ზუსტი დაცვა, რეკომენდირებული ზეობების გამოყენება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ხარისხის ამაღლება, მოცემული მოწყობილობის მომსახურე და სარემონტო პერსონალის ტექნიკური მომზადების დონის ამაღლება და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. მეგრელიძე, ზ. ჯაფარიძე, გ. ბერუაშვილი. კვების საწარმოთა მოწყობილობები და კონსტრუქცია. // მეთოდური მითითებები ლაბორატორიული საეშუაშობის ჩასატარებლად. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2006. 90 გვ.
2. გ. ჯომარჯიძე ჩაის წარმოების მანქანები. თბილისი. განათლება, 1971, 333 გვ.

Эксплуатационная надёжность машин для сортировки скрученного чайного листа

Приудзе И.Б. (ГТСУ)

Изучены статистические показатели эксплуатационной надёжности машин для сортировки скрученного чайного листа. Проанализированы закономерности распределения рабочего времени и продолжительности ремонта сортировочных машин на нескольких чайных фабриках. Установлены основные причины выхода машин из строя. Рекомендованы пути повышения надёжности сортировочных машин.

Twisted Tea Leafs Sorting Machines Exploitation Trustworthy

I. Pruidze (GSAU)

Consideration twisted tea leafs sorting machines exploitation trustworthy statistics indicator. Learned sorting machines work continuance and repairs time distributes regularity in several tea factories. Established machines injure essential causes. Recommended sorting machines trustworthy raises actions.

ტარბულენტარ ნაქაღვი სივარკივის ქონსტრუქციის გავლენა სივარკის განაწილებაზე უპირაზუ

თ. ქიქარაია, შ. კუპრეიშვილი, შ კიკაბიძე, ჰ. ხიქინია (სსსუ)

სტატიაში წარმოდგენილია ღია ნაკადში ვერტიკალზე სიჩქარის განაწილების მოდელი, სიბლანტის ცვალებადობის ხაზოვანი კანონის შესაბამისად ანშტაინის ცნობილი ფორმულის სავსელებზე რაბაკეორეგულია, აქ არ არის დადგენილი მკაცრი ხდრებები სხვადასხვა ზომის ნარჩანის შესატკეცილობაში და მის გავლენაზე სიჩქარის განაწილებაზე.

წარმოდგენილი მოდელი არის გატკეული მცდელობა ხარისხობრივად შეეფასათ საიმედოების როლი ნაკადის სიჩქარის გაიურის ფორმირებაში.

ზედაპირული ჩამონადენის პარამეტრებიდან, რომლის ფორმირებაშიც მონაწილეობს ხმელეთის პიდროგეოლოგიური ციკლის თითქმის ყველა ფიზიკურ-გეოგრაფიული პროცესი/წლისშიერი ეროზიული ამოცანების გადაწყვეტაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინქარეს. ეს განპირობებულია იმით, რომ სინქარე განსაზღვრავს ნიადაგ-გრუნტის წარმოქმნის ნაკადის დინამიკურ ძალურ შემოქმედებას მის მოსაგლეჯად და, ასევე, უზრუნველყოფს ტრანსპორტუნარიანობასაც.

თანაბარი ძრავის ტურბულენტური ნაკადისა და თვითგარეცხვადი კალაპოტის ურთიერთმართვადობის დიალექტიკური კონცეფციის ჩამოყალიბებამ [1] უზრუნველყო მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადება, რამაც ასახვა პოვა სხვადასხვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ სინქარის განაწილების საანგარიშო დამოკიდებულებებში [2,3,4] და სხვ. ვერტიკალზე სინქარის განაწილების ლოგარითმულ ფუნქციას, რომელიც მიჩნეულია ყველაზე სრულყოფილ უდაბლად განაწილების სხვა (პარაბოლური, ელიფსური) კანონებთან შედარებით, აქვს შემდეგი სახე [2]:

$$U = v \frac{\lg \left(\frac{16,7z}{\Delta} + 1 \right)}{\lg \frac{6,15H}{\Delta}} \quad (1)$$

სადაც U არის სინქარე წერტილში, მ/წმ; Δ - კალაპოტური წარმონაქმნის შევრილის სიმაღლე, მ; H - ნაკადის სიღრმე, მ; z - აღებული წერტილის ვერტიკალური კოორდინატი, მ; v - ნაკადის საშუალო სინქარე, მ/წმ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაკადის შემოქმედება კედელზე შეიძლება გამოხატულ იქნეს ხორკლიანობის ცალკეული შევრილების გარსდენისას ჯამური წინაღობის შემთხვევაში, ეს ძალა შეიძლება გამოვხატოთ შემდეგნაირად:

$$\tau_i = \frac{\rho \omega \Delta^2}{2} \quad (2)$$

ხოლო ყველა შევრილზე მოსული ძერის ხვედრითი ძალა იქნება:

$$\tau = \frac{\gamma_0}{\left(4 \lg \frac{16,7H}{\Delta} \right)^2} \frac{u_*^2}{2g} \quad (3)$$

(2) და (3) ფორმულებში მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

ρ - წყლის სიმკვრივე, კგ/მ³; ω - შევრილის მოდელის ფართობი, მ; u_* - სინქარე შევრილის თხემზე, მ/წმ; γ_0 - წყლის კუთრი წონა, კგ/მ³; u_0 - ნაკადის მაქსიმალური სინქარე, მ/წმ; g - სიმძიმის ძალის აჩქარება, მ/წმ².

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრტყელი ნაკადისათვის პიდრავლიკური რადიუსი $R \approx H$, მაშინ $\tau = \gamma_0 H I$ და თანაბარი ძრავის შეზის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$v = 4 \sqrt{\frac{2\tau}{\rho}} \lg \frac{6,15H}{\Delta} = 4 \sqrt{2gHI} \lg \frac{6,15H}{\Delta} = c \sqrt{HI} \quad (4)$$

სადაც $c = 4 \sqrt{2g} \lg \frac{6,15H}{d}$ - შეზის კოეფიციენტი, მ^{1/2}/წმ; I - პიდრავლიკური ქანობი.

თუ მივიღებთ, რომ $\Delta = 0,7d$, ხოლო $g = 9,81$ მ/წმ², მაშინ

$$C = 17,7 \lg \frac{8,8}{d} \quad (5)$$

ნიადაგ-გრუნტების ეროზიის შეფასებისათვის ჩვენ ვიყენებთ სინქარის განაწილების ლოგარითმულ კანონს, ამიტომ C კოეფიციენტის გამოსათვლელად ვიყენებთ (5) დამოკიდებულებას.

საკიროა აღინიშნოს, რომ (4)-ს ბაზაზე მიიღება დასაშვები სინქარის საანგარიშო დამოკიდებულება, რომელიც ეყარება სინქარის განაწილების ლოგარითმულ კანონს, ხოლო სიმღვრივის გავლენა ნორმატიულ სინქარეზე გათვალისწინებულია სათანადო კოეფიციენტით.

ზოგადად სინქარის განაწილება პოტენციურ ველში ემყარება ნიუტონის ცნობილ პიპოტუნას:

$$\tau_x = \mu \frac{du}{dz} \quad (6)$$

სადაც τ არის წინაღობის ხვედრითი მხევი ძალა; μ - სიბლანტის დინამიკური კოეფიციენტი, პა/წმ; $\frac{du}{dz}$ - სინქარის გრადიენტი, მ¹.

(6) განტოლებას ძირითადად გამოხატავს წინააღმდეგობის კანონი რეჟიმის შემთხვევაში სინქარის გაზრდით ლამინარული რეჟიმი გადადის ტურბულენტურში და წინააღმდეგობის ატება (6)-ის ანალოგიური სტრუქტურის დამოკიდებულებებით:

$$\tau_0 = \eta \frac{du}{dz}$$

სადაც η არის ტურბულენტური აღრევის კოეფიციენტი; ტურბულენტობის თეორიაში η გამოიხატება შემდეგნაირად:

$$\eta_0 = \rho \varrho^2 z^2 \frac{du}{dz} \quad (8)$$

ϱ - უნივერსალური მუდმივა, რომელიც ტოლია 0.4. წინააღმდეგობის კანონი (8)-ის გათვალისწინებით ჩაიწერება:

$$\tau = \rho \varrho^2 \left(\frac{du}{dz} \right)^2 \quad (9)$$

ზოგად შემთხვევაში გასაშუალებელი ნაკადების წინააღმდეგობა შეიძლება წარმოვადგინოთ ორწევრა პოლინომის სახით:

$$\tau = \mu \frac{du}{dz} + a z^2 \left(\frac{du}{dz} \right)^2 \quad (10)$$


ლამინარული მოძრაობის შემთხვევაში (10) განტოლების მეორე წევრი უგულებელყოფილია და ამ დროს ძეგის წინააღმდეგობა კვლევზე პროპორციულია სინქარის გრადიენტისა, ხოლო განვითარებული ტურბულენტობისას წინააღმდეგობა პროპორციულია სინქარის კვადრატისა და ამიტომ შეიძლება პირველი წევრის ნულთან ტოლია. როდესაც გვაქვს ნაკადის ძარბარეინოლდის რიცხვის დაბალი მნიშვნელობით, მაშინ (10) განტოლების ორივე წევრი ურთიერთ თანაზომადი ხდება და წინააღმდეგობა პროპორციული ხდება ნაკადის საშუალო სინქარის, ხარისხის მანვენებლის სიდიდით, რომელიც მეტია ერთზე და ნაკლებია ორზე ეს შემთხვევა შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ სარწყავი არხების უმრავლესობისათვის, რომელთა ტურბულენტური აღრევის ეფექტი განსაკუთრებული სპეციფიკურობით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატება სიდრმეზე შეტვიზნარებული ნატანის კონცენტრაციის ცვალებადობაში, რაც შესაბამისად იწვევს სიბლანტის ცვალებადობას ვერტიკალზე.

ტურბულენტური ნაკადის ცოცხალ კვეთში შეტვიზნარებული ნატანის რაოდენობასა და ტურბულენტური აღრევის ინტენსივობის შესაბამისად სინქარის განაწილების სხვადასხვა სიმრუდის რადიუსის მქონე ეპიურა ყალიბდება. თითო გასაშუალებელი ნაკადის რეჟიმზე უახლოვდება ლამინარულს, რაც ასევე იდენტურია მაღალი კონცენტრაციის სოლიფლუქსური ნაკადებისათვის, რომლებიც რეოლოგიური შავლის მიხედვით შეიძლება მივაკუთვნოთ წინააღმდეგობის ბლანტ-პლასტიკური, ე.წ. შედგომ-ბინგამის ან კიდევ სხვა ანალოგიურ მოდელს.

ნეიტრალური მყარი ნაწილაკების ბრუნვის ქაოსური მოძრაობის შესწავლისას მიღებულ იქნა კონცენტრაციისაგან დამოკიდებულებით სიბლანტის ცვალებადობის შემდეგი სახის ხაზოვანი კანონი [5]

$$\mu = \mu_0 (1 + a k) \quad (11)$$

სადაც μ არის „სუფთა“ წყლის სიბლანტე; a - ექვიმეტრული კოეფიციენტი; k - სიმღერევე.



ნახ. 1. ვერტიკალზე ადგილობრივი სინქარის განაწილების საანგარიშო სქემა

შემდგომმა კვლევებმა გამოავლინა, რომ სიბლანტის ცვალებადობა კონცენტრაციასთან კავშირში არ ემორჩილება ხაზოვან კანონს, რაც აიხსნება ვლექტროლიტში არაკომპენსირებული მუხტის პოტენციალის არსებობით, რაც იწვევს წყალში შეტვიზნარებული ნაწილაკების ინტენსიურ ფლოტაციას და შესაბამისად პიძრავლიკური სიმსხოს მნიშვნელოვან ცვალებადობას.

ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ჰავალური ნაკადების ენერგეტიკული შეფასებისათვის, რომლებიც წარმოიშობაან ნალარეში,

სადაც ხელსაყრელი პირობებია შექმნილი თიხის მინერალური კოლოიდების შეტვიზნარებისა და ტრანსპორტირებისათვის.

თანაბრად მოძრავი ტურბულენტური ღია ნაკადებისათვის ვერტიკალზე კინემატიკური სურათის აღწერისათვის ვიყენებთ I-ელ ნახაზზე მოცემულ საანგარიშო სქემას.

ამ სქემის მიხედვით შეიძლება დავწეროთ შემდეგი ტოლობა:

$$\tau = \gamma_0 (H - z) I = \mu \frac{du}{dz} \quad (12)$$

დიფერენციალური (12) განტოლების ინტეგრებით, სასაზღვრო პირობის გამოყენებით $z=0, u=0$, მივიღებთ:

$$u = \frac{\gamma_0 I}{2\mu} = (2Hz - z^2). \quad (13)$$

ეს განტოლება განსაზღვრავს ადგილობრივი სიჩქარის მნიშვნელობას დაუშვავთ, რომ ნაკადის ცოცხალ კვეთში კონცენტრაციის განაწილება ემორჩილება ნაწილაკების კანონს, რის შესაბამისად (11) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\mu = \mu_0 \left[1 + \alpha k_0 \left(1 - \frac{z}{H} \right) \right]. \quad (14)$$

დამოკიდებულებაში მიღებულია რომ, $k = k_0 \left(1 - \frac{z}{H} \right)$ თუ $z=0$, მაშინ $k=k_0$; ხოლო $z=H$, მაშინ $k=0$, ე.ი. კონცენტრაცია ფსკერზე ტოლია k_0 -ის ზედაპირზე კი ნულის.

(14) -ის შეტანით (12) განტოლებაში გვექნება

$$u = aH \int \frac{1 - \frac{z}{H}}{1 + b \left(1 - \frac{z}{H} \right)} dz, \quad (15)$$

სადაც $a = \frac{\gamma_0 I}{\mu_0}$, ხოლო $b = \alpha k_0$

(15) ინტეგრებით ვღებულობთ:

$$u = \frac{\gamma_0 H I}{\mu_0 \alpha k_0} z + \frac{\gamma_0 H^2 I}{\mu_0 \alpha^2 k_0^2} \ln \frac{1 + \alpha k_0 \left(1 - \frac{z}{H} \right)}{1 + \alpha k_0}, \quad (16)$$

(16) დამოკიდებულებას გამოხატავს ნაკადის ადგილობრივი სიჩქარის განაწილებას ეპიურაზე ნატანის კონცენტრაციის გავლენით გვექნება, რომელიც ასევე მიღებულია სწორხაზოვნად. ნაცვლად კოლოიდურ მდგომარეობაში მყოფი ნატანის გავლენის ახახვისა დასაშვებ სიჩქარეზე, რომელიც ხორციელდება სპეციალური ცხრილების მონაცემების გამოყენებით, (16) დამოკიდებულება გაცილებით ზუსტად გამოხატავს ტურბულენტური ნაკადის კინემატიკურ და ენერგეტიკულ სურათს, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ ნიადაგ-გროუნტის წყლისმიერ ეროზიის რაოდენობრივი პროგნოზის სიამელობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Великанов М. А. Русловый процесс. Физматгиз, М., 1958, 424 с.
2. Гончаров В. Н. Основы динамики русловых процессов. Гидрометеоиздат, Л. 1954, 454 с.
3. Леви И. И. Моделирование местных размеров русел в нижних бьефах гидросооружений. Изд. ВНИИГ, т.48, Госгиркондат, 1952, с. 148-153.
4. Кнороз В. С. Безнапорный гидротранспорт и его расчет. Изд. ВНИИГ, т.44, 1951, с.232-237.
5. Аинштейн А. Новое определение размеров. Собрание научных трудов. Изд. "Наука", М., 1966, с. 75-91.

Влияние степени мутности турбулентного потока на эпюру распределения скорости

Катсарავა Т.Е., Купрейшвили Ш.З., Кикабидзе М.Н., Сичинава П. (ГТСХУ)

Из параметров поверхностных стоков, в формировании которых принимают участие почти все физико-географические процессы гидрологического цикла суши, в вопросе решения задач связанных с водной эрозией самое большое значение отводится скорости. Это обусловлено тем, что скорость определяет динамику силового воздействия требуемого на смыл частиц почвогрунта, а также на передвижение самого потока.

В статье представлена модель распределения скорости открытого потока по вертикали в соответствии с линейным законом изменчивости вязкости, основанную на известной формуле Эйнштейна. Конечно, при этом не установлены строгие границы в соответствии с разными размерами наносов и их влиянием на распределение скоростей. Представленная модель является определенной попыткой оценки роли вязкости в формировании эпюры скорости потока.

Influence of the Muddiness Degree (Viscosity) in a Turbulent Stream on the epure of Speed Distributions

T. Katsarava, Sh. Kupreishvili, M. Kikabidze, P. Sichinava (GSAU)

From parameters of superficial drains, in which formation take part almost all physical - geographical processes of a hydrological cycle of a ground, in the decision of a tasks connected with water erosion, the great value is given to the speed. Because, that speed defines dynamics of power influence demanded on washout of particles of a ground, and also on movement of the stream itself.

In article the model of vertical distribution of speed of an open stream according to the linear law of variability of the viscosity, based on Einstein's known formula is presented. Certainly, thus strict borders according to the different sizes of deposits and their influence on distribution of speeds are not established. The presented model is certain attempt of an estimation of a role of viscosity in formation of the epure of speed of a stream.

ნ. რამაზაშვილი, ნ. ნარამანიძე (სსსრკ).
 გ. ნარამანიძე (კუმერ თენიონის საინჟინრო სკოლა)

ნაშრომში განხილულია ახალი ტექნოლოგიის - ხიდური მიწათმოქმედების უძლიერესი და მსხრველი საცილისათვის საჭირო ფართო მოედების განის ხიდური აგრეგატის პრინციპული სქემა და მისი ცენტრალიზებული ელექტრომომარაგებით მომუშავე ხიდური აგრეგატების მობრუნების კონსტრუქციის კვლევის აუცილებლობა.

ხატარგებულია მობრუნების სხვადასხვა სახეების სქემების ანალიზი. კომპიუტერის დახმარებით მიღებულია მობრუნების, უკმა სელის მანძილებსა და მოსაბრუნე ზოდის მინიმალური სიგანის საანგარიშო ფორმულები კერძო შემთხვევებისათვის და დადგენილია ზოგადი სახის განტოლებები.

შეჯავალი. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დამუშავებას მათ შორის ე.წ. "ხიდურ მიწათმოქმედებას". ამ მიმართულებით გაიზარდა ინტერესი მობილური ფართომოდების განიანი ხიდური აგრეგატების შექმნისადმი.

განსაკუთრებით ეფექტანია ხიდური აგრეგატების (ხა) გამოყენება სანერგე და სასაბურე მეურნეობაში, რადგანაც ისინი საშუალებას გვაძლევენ შესრულდეს სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები ნებისმიერ დროს, თანაც სავალი ნაწილებით ნიადაგის სტრუქტურის დაურღვევლად და მცენარეების დაუზიანებლად. თესვა და ჩითილების რგვა მოხდეს ზუსტად მინიმუმამდე შემცირდეს ხელით შრომა; გაიზარდოს მწარმოებლურობა; გამოყენებულ იქნეს ელექტროამპრიაგია აქტიური მუშა ორგანოები; განხორციელდეს ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია; დაინერგოს პროგრამირებული მოსავალი.

ამჟამად ხიდური აგრეგატების პროექტები ითვალისწინებენ როგორც მარტივ ხა, ისე ფართომოდების განის ელექტროაღფრეტებისა და ავტომატიზებული ხიდური აგროტექნიკური კომპლექსების გამოყენებას.

არსებული პროექტების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხიდური აგრეგატები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ტიპად: მრავალმანქანიანად და ერთმანქანიანად.

მრავალმანქანიანი (მოლულური) აგრეგატები აიგებიან დასამუშავებელი ნაკვეთის სიგანის შესაბამისი რაოდენობის გვერდი-გვერდ სახსრულად გადამბული სექციებისაგან, მოდულებსაგან [1,6].


ერთმანქანიანი აგრეგატები თავის მხრივ იყოფა ერთმელიან ხიდურა თვითმავალ შახუბად და საკუთრივ ფერმის ტიპის ხიდურ აგრეგატად.

ხიდურა თვითმავალი შახი წარმოადგენს ძელურა ჩარჩოს, რომელიც მარდება ვერტიკალური ღერძის გარშემო მბრუნავი თვლებით აღჭურვილ სავალ ნაწილებზე [2,5].

ხიდური აგრეგატები შესდგება 12 მეტრანი და მეტი სიგრძის მალისაგან - ფერმისაგან. ფერმა ვერდნობა გვერდით ურიკებს ან სატრაქტორო მარაგებს აგრეგატი გადაადგილდება მიმართულებებზე ან დატკენილ სპეციალურ ბილიკზე [3,4,7,9,10]. ხიდური აგრეგატის პრინციპული სქემა მოცემულია 1 (ა.ბ.გ). ნახსზე ფერმა 1 ვერდნობა გვერდით ურიკებს 2 ან სატრაქტორო მარაგებს 3 ურიკებს აქვთ ცალკეული 4 ან შეწყვილებული 5 თვლები. ურიკები ფერმაზე დამაგრებულია წერტილებში 6 სახსრულად ან ხისტად. სახსრები შეიძლება სხვა წერტილებშიც 7 იყოს, რაც ხიდის ანიჭებს სხვადასხვა სახის მობრუნების უნარს. ურიკების ხისტად დამაგრების შემთხვევაში ფერმა აღჭურვილია დამატებითი გამოსაწევი თვლებით 8 მზობელ სატკევეზე გადასვლისათვის.

ორივე ტიპის აგრეგატი შეიძლება აღჭურვილი იყოს შიგაწვის (შეშ) ან ელექტრული ძრავებით ელექტრონერგით, ავტონომიური (აემ) ან ცენტრალიზებული მომარაგებით (ცემ).

ხიდურ აგრეგატებს აქვთ 9 მოწყობილობა სამუშაო მანქანა-ორადების 10



5აბ 1

დასაკრებლად. მანქანა-იარაღები მათი ფერმაზე ან სექციოვზე დამატებით ხერხის მიხედვით შეიძლება იყოს საბრუნო, ფერმის გაყოფებით წინსვლით-უაქცევიით, უწყვეტი ან პოლიციური გადაადგილებით, უძრავი, ანუ ფერმის მთლიან სიგრძეზე ცალმხრივი ან ორმხრივი წინა-უკუშმა დაკიდებით. მანქანა-იარაღები მუშაობის ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს ცალმხრივი (კულტურატორი და სხვა), ორმხრივი (კბილებიანი ფარცხი და სხვა) ან უწყვეტი სული ქმედების (რევერსული ფრეზა და სხვა).

ხა-ს მოძრაობის წესები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს რიგი ნიშნებით: აგრეგატების მუშა სველების მიმართულებით (წრიული, დიაგონალური, ჯვარედინი, რევერსული); ტერიტორიის ორგანიზაციით (საქცეური, უსაქცევი); აგრეგატის მობრუნების ან მოხვევის მიმართულებით (მარჯვნივ ან მარცხნივ მოხვევით, კომბინირებული); ნაკვეთის დამუშავების სქემის მიხედვით (ერთსაქცევიანი, ორსაქცევიანი, მრავალსაქცევიანი); მობრუნების წესით (უპარუყო, მარუყვიანი, განივი გადასვლით) [8].

მობრუნების დროს აგრეგატის მიერ გავლილი გზის მნიშვნელოვან ნაწილს მობრუნებისა და საქცევი შესვლა-გამოსვლის მანძილები შეადგენენ, ესენი კი უქმი, არამართობე-ბული სველებია. საშუალოდ ისინი აგრეგატის მიერ გავლილი მთლიანი მანძილის 5-15% შეადგენენ.

არასწორად შერჩეული და შესრულებული მობრუნებები იწვევენ აგრეგატის უქმი სველის ზრდას. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მობრუნების ტიპის სწორ შერჩევასა და მის განხორციელებას უქმი სველის მინიმალური სიგრძით.

მოძრაობის წესიდან გამომდინარე ხა ახორციელებენ მობრუნებას 0-270°-მდე შემობრუნებით ან ასრულებენ განივ გადასვლას შემობრუნების გარეშე. მობრუნების წესის სწორად შერჩევის ძირითადი ამოცანაა აგრეგატის მუშაობასა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება.

აუტონომიური ენერგოდანადგარებიანი ხიდური აგრეგატების მუშაობის დროს მოძრაობის წესის ამორჩევა და მათი კინემატიკის შეფასება უნდა წარმოებდეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლუატაციაში საერთოდ მოდებული მეთოდებით. ცენტრალიზებული (კაბლური, ტროლეიური) ენერგომომარაგების დროს აგრეგატის მოძრაობის წესები შესრულებულია და მთლიანადაა დამოკიდებული ნაკვეთის ორგანიზაციაზე, ელექტრომომარაგების სისტემაზე, თუთი ხა-ს კონსტრუქციაზე და სხვ. ამიტომ, საჭიროა ჩატარდეს ხა-ს მობრუნების კინემატიკის ანალიზი ცენტრალიზებული ელექტრომომარაგების პირობებში.

განვიხილოთ ვენახის სანერგეში ცენტრალიზებული ელექტრომომარაგებით მომუშავე ხიდური აგრეგატის მოძრაობის რამდენიმე წესი და შევაფასოთ აგრეგატის კინემატიკური მაჩვენებლები.


საქართველოს პირობებში სანერგეების ნაკვეთების ზომები საშუალოდ 5-10 ჰექტარს შეადგენს. ჩვენ სანერგედ შევირჩიეთ 5 ჰექტარიანი ნაკვეთის ოთხმინდვრიანი, მოდულიანი სქემა 4,32 მ სისარგებლო ფართობითა და მოდულების 100X108 მ ზომებით. სანერგეში მოდულებზე ვახის ნერგის გარდა სხვა კულტურებიც გვხვდება, რომელთა შესაბამისად ხა-ს მოძრაობის წესიც სხვადასხვანაირი იქნება. სანერგის ყველა მოდული ერთი აგრეგატით მუშავდება და ტექნოლოგიის შესაბამისად მას სხვადასხვა მოდულზე უხდება გადასვლა.

საექსპლუატაციო პირობებში ხა-ს მობრუნების კინემატიკის დახასიათებისათვის შე-მოვიტარებთ ხიდური აგრეგატის კინემატიკური პარამეტრების შემდეგი პირობითი აღნიშვნები: (ნახ.1) ხა-ს ღიანდი - B_x ; სავალი ურიკებისა და სატრაქტორო მაძრავების გრძივი ბაზა ან უქმი სველის ურიკების ღიანდი - L_x ; აგრეგატის კინემატიკური სიგრძე - L_k მანძილი კინე-

მატიკურ C ცენტრსა და ყველაზე განაპირა მუშა ორგანოების განლაგების ხაზ შორის; გარეთა ურიკის (ან სატრაქტორო მაძრავის) მობრუნების რადიუსი - R_0 ; მანძილი d გარეთა ურიკის დერძის ხაზიდან გვერდზე უშორესად გამოწეულ ნაწილამდე.

პარამეტრი L_x განსაზღვრავს აგრეგატის შესვლა-გამოსვლის e მანძილს (ნახ.2), რომელზეც უნდა გადაინაცვლოს აგრეგატმა მოხაბრუნე ზოლის საკონტროლო ხაზიდან მობრუნების დაწყებამდე და მისი დამთავრების შემდეგ მცენტრის დახასიათების თავიდან ასაცილებლად. მოხაბრუნე ზოლის მინიმალური სიგანე E_{min} განისაზღვრება e , d , L_x და R_0 პარამეტრებით.

მობრუნება ხასიათდება შემდეგი კინემატიკური პარამეტრებით: მობრუნების მანძილი S_n - აგრეგატის კინემატიკური ცენტრის C მიერ გავლილი მანძილი (ტრაექტორიის სიგრძე) მო-



ნახ. 2

ბრუნების დაწვებიდან ბოლომდე; უქმი სვლის მიხედვით S_x მობრუნების მანძილის $S_{\text{არე}}$ აგრე-
გატის გამოსვლის e და ურიკის ბაზის l_T სიგრძეების ჯამი; მობრუნების სიგანე X_n მანძილი
საკონტროლო ხაზის გასწვრივ აგრეგატის გამოსვლასა და შესვლას შორის; მობრუნების
ზოლის მინიმალური სიგანე E_{min} ; მობრუნების დრო t_n .

ხიდური აგრეგატის მობრუნების ძირითადი სქემები და კინემატიკური მონაცემები მო-
ცემულია ნახ. 2-17, სადაც გადასვლები მომიჯნავე საქცევზე ხორციელდება 90° , 180° და 270° . ასეთი მობრუნების შესრულება
შეიძლება თუ გამოვიყენებთ სტრაქტორო მადრავებს ან ურიკებს საბრუნო თულებიან და
ხასხრების სხვადასხვა კომბინაციით სავალი გზის სქემების შეხაზამისად.

მობრუნება 180° -ზე


მე-2 ნახაზზე S_p სივრძის საქცევის ბოლოს ხა გაივლის რა KK საკონტროლო ხაზიდან
 L მანძილს, აღმოჩნდება AB მდგომარეობაში. მარჯვენა ურიკა ან მადრავი B ჩერდება
ადგილზე და A ურიკა განაგრძობს მოძრაობას AA_1 წრეხაზზე, რომლის რადიუსი $R_0=B_k$ ხა
შემოთრუნდება B ურიკას ხასხრის გარშემო 180° -ზე და მისი ცენტრი (C წერტილი) შემოწერს
 CC_1 ნახევარ წრეხაზს რადიუსით $R=R_0/2=B_k/2$.

მობრუნების მანძილი (C წერტილის ტრაექტორიაზე) განისაზღვრება ფორმულით:
 $S_n=1/2\pi B_k$ (1)

ხოლო უქმი სვლის მანძილი იქნება
 $S_x=S_n+2e+l_T$ ან $S_x=1/2\pi B_k+2e+l_T$ (2)

მოსაბრუნო ზოლის სიგანე ტოლია
 $E_{\text{min}}=R_0+e+d+l_T/2=B_k+e+d+l_T/2$. (3)


მე-3 ნახაზზე ხიდური აგრეგატის AB მდგომარეობაში განერების შემდეგ მარჯვენა
ურიკა B ასრულებს უეჭვლას BB_1 მიმართველის გასწვრივ, ხოლო A ურიკა შემოწერს
წრეხაზის AA_1 რკალს, რომლის რადიუსი $R_0<B_k$. ხა-ს ცენტრი შემოწერს $O-1$ მრუდს. შებ-
დებ. B წერტილი ისევე აგრძელებს მოძრაობას BB_1 -ის გასწვრივ, A_1 წერტილი კი
გადაადგილდება BB_1 -ის მართობ A_1A_2 სწორზე.



ნახ. 3


მართობულ მიმართველებზე სრიალებს, მისი შუა წერტილი შემოწერს წრეხაზს მონაკვეთის
ნახევრის ტოლი რადიუსით, მიმართველების გადაკვეთის წერტილში მდებარე ცენტრიდან.

ამის შემდეგ A_2 წერტილი განაგრძობს მოძრაობას A_2A_3 წრეხაზის რკალზე, B_1 წერ-
ტილი კი ბრუნდება B წერტილში. ხა-ს ცენტრი შემოწერს $O-1$ მრუდის სიმეტრიულ $2-3$
მრუდს.



ნახ. 4

ურად იქნება



ნახ. 5

ამ დროს ხა-ს ცენტრი შემოწერს
წრეხაზის $1-2$ ნაწილს რადიუსით $B_k/2$, A_1
ცენტრიდან, რადგან ცნობილია, რომ თუ
სწორი მონაკვეთი ბოლოებით ურთიერთ-

მე-4 და მე-5 ნახაზებზე იგივე
ხდება, რაც მე-3 ნახაზზე, იმ განსხვავ-
ებით, რომ $R_0 \rightarrow 0$.

მე-6 ნახაზზე $R_0=0$, ე. ი. მარცხენა
ურიკის მოძრაობა წრეხაზის რკალზე არ
ხდება, A_1 წერტილი გადაადგილდება AA_1
სწორზე, B წერტილი სრიალებს
 BB_1B' -ზე, ხოლო C წერტილი შემოწერს
 CC_1 ნახევარ წრეხაზს $B_k/2$ რადიუსით.

მობრუნების მანძილი (1) ანალოგი-

$$S_n = 1/2\pi B_k$$

ხოლო უკში სვლის მანძილი (2) ანალოგიურად ტოლია

$$S_x = 1/2\pi B_k + 2e + \epsilon_T$$

მოსაბრუნე ზოლის სიგანე განისაზღვრება ფორმულით


$$E_{min} = e + d + \epsilon_T$$



ქართული მეცნიერებათა აკადემია

როგორც მე-2 და უკვე აღნიშნული


ბიდან ჩანს ხა-ს კინემატიკური ცენტრის ძირითადი ტრაექტორია წარმოადგენს ნახევარ წრეს $B_k/2$ რადიუსით და ცენტრით B წერტილში. დანარჩენ შემთხვევებში (ნახ. 3,4,5) კინემატიკური ცენტრის ტრაექტორია წრეხაზისა და კლიფსური მრუდების ნაწილებისაგან შედგება და იგი მოქცეულია B_k დიამეტრიან წრეხაზში. კინემატიკური ცენტრის ტრაექტორიის სიგრძე ტოლი იქნება



ნახ. 6

$$l_{წრიული} + 2l_{კლიფსური} = \left\{ \frac{1}{2} \pi B_k \cdot \frac{\alpha}{180} \right\} + 2 \int_{\frac{B_k - R_0}{2}}^{B_k} \left[1 + 2 \frac{2x - (B_k - R_0)}{R_0^2 - (2x - (B_k - R_0))^2} + \frac{x}{\sqrt{\frac{B_k^2}{4} - x^2}} \right] dx$$

სადაც $\alpha = 0-180^\circ$.



ნახ. 7

გრაფიკიდან რომელიც კომპიუტერზეა მიღებული, ჩანს, რომ ურიკის მობრუნების რადიუსის R_0 გაზრდით მობრუნების მანძილი ჯერ შეკვთრად მცირდება და მინიმუმს აღწევს $R_0 = (0.3-0.45) B_k$ -ს დროს, შემდეგ კი იზრდება. ამ მრუდის განტოლება ასეთი სახისაა:

$$\lambda = 1.57 - 2.72\rho + 5.6\rho^2 - 1.84\rho^3 \quad (5)$$

საიდანაც

$$S_n = B_k \lambda = B_k (1.57 - 2.72\rho + 5.6\rho^2 - 1.84\rho^3) \quad (6)$$

უკში სვლის მანძილი ტოლია:


$$S_x = \lambda B_k + 2e + \epsilon_T \quad (7)$$

მოსაბრუნე ზოლის სიგანე განისაზღვრება ფორმულით

$$E_{min} = \rho B_k + e + d + \epsilon_{T2} \quad (8)$$

ამ გამოსახულებაში ინტეგრალის ცხადი სახით გამოთვლა შეუძლებელია და ამიტომ ხიდური აგრეგატის კინემატიკური ცენტრის ტრაექტორიის სიგრძის განსაზღვრისათვის აგებულია მობრუნების მანძილისა და მობრუნების R_0 რადიუსს შორის დამოკიდებულების გრაფიკი (ნახ.7), სადაც

$$\lambda = S_n/B_k = 1.1-1.57 \quad \text{და} \quad \rho = R_0/B_k = 0-1$$




ნახ. 8

$$E_{min} = R_0 + e + d + \epsilon_{T2}$$


საიდანაც ჩანს, რომ R_0 -ის ზრდა მოსაბრუნე ზოლის ზრდას იწვევს.

ასევე ჩვენს მიერ განხილულ იქნა მობრუნება 270° -ზე და 90° -ზე, რომელსაც ხმარობენ ნაკვეთის ჯვარედინად დამუშავების დროს (ნახ.8). ხიდური აგრეგატი AB მდგომარეობიდან ასრულებს შემობრუნებას B ურიკის გარშემო და იკავებს A_1B მდგომარეობას, მართობულს წინა გაელის მიმართ. ცენტრი C შემოწევს CC_1 მრუდს.



ნახ. 9.

ხიდური აგრეგატი გადსვლით და KK საკონტროლო ხაზს მანძილით, გვერდით საქცევეზე გადადის მობრუნების გარეშე თავის თავის ცენტრის ტრაექტორიის თვლებზე ამ მოძრაობის დროს ვერტიკალური დერძის გარეშე და გაეყვებიან მიმართულებებს $R_0 < B_k/2$ რადიუსით. ანალოგიურ ტრაექტორიას აღწერენ სატრაქტორო მაძარავეები მათი სინქრონულ მოძრაობის დროს R_0 რადიუსზე ხაზ-ცენტრი შემოწერს რკალს 1-2, კი $R_0 = B_k/2$ რადიუსიანი წრეხაზის ნახევარს.



ნახ. 10.

გადასვლის მანძილი (1-2 რკალი) (1) ანალოგიურად ტოლია $S_n = 1/2\pi B_k$ ხოლო უქმი სვლის მანძილი (2) ანალოგიურად $S_x = 1/2\pi B_k + 2e + l_f$ მოსაბრუნე ზოლის სიგანე ტოლია $E_{min} = R_0 + e + d + l_f = 1/2 B_k + e + d + l_f$ (9) როდესაც R_0 მცირდება ხაზ-ცენტრი შემოწერს ტრაექტორიას X

სწორხაზოვანი მონაკვეთით (ნახ. 10), სადაც $X = B_k - 2R_0$, ($R_0 < B_k/2$). გადასვლის მანძილი ტოლი იქნება

$$S_n = 1/2\pi(B_k - X) + X \quad (10)$$


ხოლო უქმი სვლის მანძილი

$$S_x = \pi R_0 + (B_k - 2R_0) + 2e + l_f \text{ ან } S_x = 1/2\pi(B_k - X) + X + 2e + l_f \quad (11)$$

და მოსაბრუნე ზოლის სიგანე

$$E_{min} = R_0 + e + d + l_f = 1/2(B_k - X) + e + d + l_f \quad (12)$$

მე-11 ნახაზზე ხიდური აგრეგატი მეზობელ საქცევეზე გადადის მობრუნების გარეშე წვეტიანი ტრაექტორიით. ამ დროს აგრეგატის ცენტრი შემოწერს 0-1-2-3-4 მრუდს, რომელიც $R = B_k/2$ რადიუსიანი წრეხაზის ოთხი ერთნაირი რკალისაგან შედგება. ამ მრუდის სიგრძეა $2/3\pi B_k$ რადგანაც COB მართკუთხა სამკუთხედი, $CB = 2BO = B_k < OBC$ კი ტოლია 60° . ამ შემთხვევაში გადასვლის მანძილი ტოლია



ნახ. 11.

$$S_n = 2/3\pi B_k \quad (13)$$

ხოლო უქმი სვლის მანძილი

$$S_x = 2/3\pi B_k + 2e + l_f \quad (14)$$

მოსაბრუნე ზოლის სიგანე კი

$$E_{min} = B_k \sqrt{3}/2 + e + d + l_f \quad (15)$$

რადიუსის R_0 შემცირების შემთხვევაში გადასვლის მანძილი S_n მცირდება.

შესაძლებელია გადასვლის სხვა ვარიანტიც, მაგალითად მე-12 და მე-13

ნახაზებზე რამდენიმე სწორხაზოვანი მონაკვეთით. გადასვლის მანძილი განისაზღვრება ფორმულით $S_n = (B_k - 2R_0 - X) / \cos\alpha + \pi R_0 + X$


ხოლო უქმი სვლის მანძილი

$$S_x = (B_k - 2R_0 - X) / \cos\alpha + \pi R_0 + X + 2e + l_f \quad (16)$$

მოსაბრუნე ზოლის სიგანე კი

$$E_{min} = 1/2(B_k - 2R_0 - X) \tan\alpha + R_0 + e + d + l_f \quad (17)$$

$$E_{min} = 1/2(B_k - 2R_0 - X) \tan\alpha + R_0 + e + d + l_f \quad (18)$$



ნახ. 12.



ნახ. 13.


დახარჯული დროითა და ფულადი სახსრებით.

აგრეგატის მოძრაობის წესის ძირითადი შემფასებელი მანქანებელია მუშა სელების კოეფიციენტი:

$$\Phi = S_p / (S_p + S_x) \quad (22)$$

სადაც: S_p - არის აგრეგატის მუშა სელების ჯამური სიგრძე; S_x - უქმი სელების ჯამური სიგრძე; აქ $S_p = S_{p,CP} \cdot n_p$ და $S_x = S_{x,CP} \cdot n_x$, სადაც $S_{p,CP}$ და $S_{x,CP}$

შესაბამისად, საქცევისა და უქმი სელების საშუალო სიგრძეები; n_p და n_x მუშა და უქმი სელების რიცხვია.



ნახ. 14.

$$\tau_{00} = T_p (T_p + T_x) \quad (23)$$

სადაც T_p - სამუშაო მოძრაობის დრო; T_x - უქმი მოძრაობის დრო.

1/32 რეალიზებულ იქნა სამთო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შექმნილი ხიდური აგრეგატის კონსტრუქციული პარამეტრებით, როცა $B_k = 12$ მ; $R_0 = 4.62$ მ; $t_r = 2.5$ მ; $d = 2.75$ მ; $e = 3$ მ და $S_p = 100$ მ. აღმოჩნდა, რომ უდიდესი უქმი სელა $S_x = 36.76$ მ და მოსაბრუნე ზოლი $E_{min} = 19$ მ მიიღება 270° -ზე მობრუნებისას მე-8 სქემით მაგრამ ასეთი სახის მობრუნება გეხვდება გაცილებით ნაკლებად, ისიც მხოლოდ ერთხელ, როცა აგრეგატი წინა სელების მართობულად გადადის.

დანარჩენ შემთხვევაში ყველაზე მოკლე უქმი სელა $S_x = 20.5$ მ და მინიმალური მოსაბრუნე ზოლი $E_{min} = 8.25$ მ მიიღება განივი გადასვლის დროს (იხ. ნახ. 14, ფორმულები 20 და 21). ამ დროს მუშა სელებისა და დროის გამოყენების კოეფიციენტებიც საკმაოდ მაღალია ($\Phi = 0.83$).

ხიდური აგრეგატის მობრუნებისა და განივი გადასვლის სქემებიდან მიღებული ფორმულების ანალიზით გამოირკვა, რომ აგრეგატის მობრუნების ან განივი გადასვლის მანძილი ზოგადად შეიძლება გამოისახოს ფორმულით

$$S_n = LB_k \quad (24)$$

სადაც $p = 1...2.355$; B_k - ხიდური აგრეგატის ლიანდია.

$$S_x = LB_k + 2e + t_r \quad (25)$$

$$E_{min} = pB_k + e + d + \gamma t_r \quad (26)$$

სადაც $p = 0...1$; $d = 0.203B_k$; $\gamma = 0.5$; 1.

დასკვნა. ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხიდური აგრეგატის მომიჯნავე საქცევეზე გადასასვლელად მიზანშეწონილია გამოიყენოთ განივი გადასვლის წესი, რადგანაც

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციული და პრაქტიკული მოსაზრებებით $15^\circ < \alpha < 60^\circ$ მე-14 ნახ. საზე ხიდური აგრეგატი მეზობელ საქცევეზე გადადის, რადგანაც დამატებითი გამოსწავლის შედეგად (იხ. ნახ. 1) საშუალოდ $R_0 = 0$ და გადასვლის მანძილი $X_n = B_k$, ანუ

$$S_n = B_k \quad (19)$$

უქმი სელის მანძილი იქნება

$$S_x = B_k + 2e + t_r \quad (20)$$

მოსაბრუნე ზოლის სიგანე კი

$$E_{min} = e + d + t_r \quad (21)$$

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული სამუშაოს შესრულებისათვის მოძრაობის ამა თუ იმ წესის შერჩევა განპირობებულია აგრეგატის მოთხოვნით, ხა-ს კონსტრუქციით, უქმი სელებზე საჭირო დროის მინიმუმით და ნაკვეთის ორგანიზაციასზე

იგი უჭი სვლის სვლის სივრცის ამცირებს საშუალოდ 25%-ით, მუშა სვლების კოეფიციენტს ზრდის 6%-ით და საჭიროებს მოსაბრუნე ზოლის მინიმალურ სიგანეს. განივი გადასვლის წესი მოთხოვს ნაკლებ კაპიტალდაბანდებას ნაკვეთის ორგანიზაციისათვის, ამავე დროს ამცირებს ხიდური აგრეგატის კონსტრუქციის და ვეპაღვეს საშუალებას, რომ გამოიყენონ რვერსული მანქანები და განახორციელოთ საწარმო პროცესების ავტომატიზაცია.

ს. რამაშვილი
გ. ნარიმანიძე

გამოყენებული ლიტერატურა

1. Адоян А. Путь к электрификации земель, "Техника молодежи", №1, 1984.
2. А.С. 674704 (СССР). Самоходное шасси / Ходов К.А. и др. / -опубл. Б.И., 1979г. №27.
3. А.С. 791274 (СССР) Мостовое устройство для сельскохозяйственных работ/ Ю. Н. Жуков/ - опубл. в Б.И., 1980. №48.
4. А.С. 818511 (СССР). Почвообрабатываемая система/ В. Д. Тимонин и др./ - опубл. в Б.И., 1981. №13.
5. А.С. 852199 (СССР). Самоходное шасси/ Фомин Л.У./ опубл. в Б.И., 1981. №29.
6. А.С. 858598 (СССР). Пропашной самоходный агрегат/ М.С. Крико / - опубл. в Б.И., 1981. №32.
7. А.С. 990101 (СССР). Мостовой агрегат/ Н.М. Захаров/ - опубл. в Б.И., 1983. №3.
8. Иофинюв С. А. - Эксплуатация машинно тракторного парка. М., Колос, 1974.
9. Лещук Н. С. и др. - Обоснование мостовых схем сельскохозяйственных агрегатов - Мех. и электрифик. соц. с. х., №7, 1979.
10. Патент Великобритании №1214058, 1979.

Технология и кинематика поворота мостового агрегата

Рамазашვილი Р.Е., Наримანიძე Н.С. (ГТСХУ), Наримანიძე Г.Н. (Инженерный колледж Купер Юнион).

В статье рассмотрены вопросы новой технологии - т. и. „Мостового земледелия“ и принципиальная схема широкозахватного электрифицированного мостового агрегата (МА) для реализации этой технологии. Обоснована необходимость исследования кинематики поворота МА работающего от централизованного электроснабжения.

Проведен анализ различных схем поворота МА и с помощью ПК выведены формулы определяющие длину поворота и холостого хода и ширину поворотной полосы для частных случаев.

На основании этих формул и технологических параметров МА, созданного в научно-исследовательском институте горного сельского хозяйства ГТСХУ получены уравнения общего вида для определения: длины поворота, длины холостого хода, ширины поворотной полосы.

Выявлена рациональная схема перехода МА на смежную полосу-поперечный переход, перпендикулярный рабочему ходу, при котором холостой ход уменьшается на 25%, а коэффициент холостых ходов увеличивается на 6%. При такой схеме перехода на смежную полосу требуется минимальная ширина поворотной полосы и низкие капложения для организации участка, упрощается конструкция мостового агрегата.

Technology and Kinematics of the Tumbling of the Bridge Unit

R. Ramazashvili, N. Narimanidze (GSAU), G. Narimanidze (Cooper Union Engineering College)

Questions of new technology are considered in labour. The bridge husbandry and principle scheme electrified bridge unit for realization of this technologies. Motivated need of the study of the kinematics of the tumbling of the bridge unit working from site supply.

The organized analysis of the different schemes of the tumbling of the bridge unit and by means of PC the presented formulas defining length of the tumbling and castrated move and width of the thumb band for quotient of the events.

On the grounds of these molded and technical parameter of the bridge unit, created in research institute of the mountain agriculture, are received general type for determination: lengths of the tumbling, lengths of the castrated move, width of the thumb band.

The rational scheme of the turning the bridge unit will revealed on adjacent band transverse transition, perpendicular worker to move, under which run idle decreases on 25%, idles increases on 6%. Under such scheme of the transition on adjacent band are required minimum width of the thumb band and low capital embedding for organization of the area, is simplified desing of the bridge unit.

უსვეპტი მოქმედების სეპიანი წანხით გავონერული წანის რაოქონობის და ხარისხის გავრცის შესაქმნელოვა

გ. ბურუკური, ვ. შოთაშვილი, თ. ქუჭუღაშვილი (სსსსუ)

სტატიაში განხილულია ხილისა და მცენარეული ნედლეულიდან წვეწის გამოსაწურად გამოყენებული უწყვეტი მოქმედების შუქური წნეხებით გამოწურული წვეწის რაოდენობისა და ხარისხის გავრცის შესაძლებლობა, ამ მიზნით შესწავლილი იქნა აღნიშნული წნეხების მუშა ორგანოს მიერ გამოსაწურ ნედლეულზე მოქმედი დამკირხნა ძალების ზემოქმედება და მათი გავლენა გამოწურვის პროცესზე აღნიშნულის საფუძველზე განხილულია და დამუშავებულია ახალი მუშა ორგანოს კონსტრუქცია, რომელიც თვალისწინებს წვეწის გამოწურვას არა ერთი მიმართულებით, რომელიც სორცელებულია არსებულ წნეხში, არამედ ორი მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვანდ იზრდება გამოწურული წვეწის რაოდენობა და ხარისხი და მცირდება ენერგოდანახარჯები.

ხილისა და მცენარეული ნედლეულის გადამუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათგან თხიერი ფრაქციის (წვეწის) გამოყოფას, რაც შეიძლება განხორციელებული იქნეს ძირითადად მათი გამოწვნეხით და ასევე სხვადასხვა მეთოდებით [1,2].

მცენარეული ნედლეული რომელიც ექვემდებარება დატორხვნას წარმოადგენს უჯრედულ სტრუქტურას ნახევრადშეღწევადი პროტოპლაზმით, რომელიც ხელს უშლის წვეწის გამოსვლას უჯრედულიდან, ამიტომ წვეწის გამოწურვისას საჭიროა ენერგია უჯრედების დასაშლელად და ძაღის დასაძლევად, რომელიც აკავშირებს თხიერ ფაზას ნარჩენთან, ასევე

მიკროფონის გარდავლიყო წინააღმდეგობების დასაძლევად.

დაწნევისას წვეწის მიღება დამოკიდებულია არა მარტო ნედლეულის კონსისტენციისა და სტრუქტურაზე, არამედ წნეხში ჩენნოს შრის სისქეზე და წნევის ზრდის ინტენსივობაზე. ამიტომ, წნევის სიდიდე შეზღუდულია წარმოების ტექნოლოგიის თავისებურებით. ჭარბი წნევისას გამოწვეულ წვეწში ხშირად გვეხვდება ნარჩენები. კერძოდ, ყურძნის გაწნევისას წვეწში ხვდება ქერქისა და წიპწის ნაწილაკები. გარდა ამისა, წნევის გაზრდა უწყვეტად აზარაობს გისს გადახარჯვას. ამასთან, დიდი წნევის დროს, ხდება კაპილარული არხების დავიწროება და დახშობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც გამოწვეული წვეწის რაოდენობას, ისე ხარისხს. საწნეხი ფენის სისქე კი - უკუპროპორციულია წნევის ეფექტიანობისა. დასაწნეხი ფენის სისქის გაზრდის შემთხვევაში წნეხის ხანგრძლივობა იზრდება. მცირდება გამოწვეული მასის რაოდენობა და ამავე დროს იზრდება ენერგოდანახარჯები. აღნიშნული ფაქტი დამტკიცებულია ექსპერიმენტულ სამუშაოების [3] საფუძველზე.


ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს სითხის გადაადგილების შესაძლებლობას დაჭირხნულ გარემოში ერთი, ორი ან სამი მიმართულებით. ორი მიმართულებით გადაადგილების დრო [4] მასის შესაძლო ზღვრულ დაჯდობაზე საჭიროა დაახლოებით ოთხჯერ ნაკლები, ვიდრე ერთი მიმართულებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი მიმართულებით გამოწვევისას ანუ სითხის ერთი მიმართულებით გადაადგილებისას იზრდება შრის სისქე, რაც იწვევს გამოწვეული წვეწის რაოდენობის და ხარისხის შემცირებას.

ამიტომაც, რომ მეტი რაოდენობის ხარისხიანი წვეწის მისაღებად გამოიყენება პიღრაულიკური დაგუშვანი წნეხები, რომლებიდანაც შესაძლებელია პროდუქტის გამოწვევისას სითხის გადაადგილება ორ და სამ მიმართულებით, რითაც მიღწევა შესაბამისი მიმართულებებით შრის სისქის შემცირება. პიღრაულიკური წნეხები ძირითადად პერიოდული მოქმედებისა და ხასიათებიან მცირე წარმადობით. ამ მიზეზით კვების მრეწველობის საწარმოებში მათი გამოყენება შეზღუდულია და ამ საწარმოებში ძირითადად გამოიყენება უწყვეტი მოქმედების მექანიკური შნეკური წნეხები.

შნეკურ წნეხებში გრძივ ღერძზე განლაგებული უწყვეტი ფრთისებრი ხეიების (ნახ. 1) ბრუნვითი მოძრაობის ხარჯზე წარმოებს პროდუქტის გადატანითი მოძრაობა შემომფარგველი ცილინდრის მიულ სივრცეზე, რის შედეგადაც იქმნება დაჭირხნის პირობები უწყვეტი გადატანითი მოძრაობის ნაკაღში.

როგორც ცნობილია, სითხის გამოყოფა დაჭირხნის გზით ხორციელდება წნევის დროს, რომელიც აღემატება შემაკავშირებელ ქსოვილის



ნახ. 1.

სას P_c .

ვინაიდან შნეკურ წნეხებში პროდუქტზე წნევა ხორციელდება პროდუქტის გადაადგილებისას გრძივი მიმართულებით ფრთების ხეულებს შორის, და სითხის გადაადგილება იწარმოებს წნევით, შესაბამისად მისი გამოდევნა მოხდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, შემომფარგველ ბადისებრ ნახერვტებიანი ცილინდრიდან. ნახაზიდან ჩანს, რომ ფრთაზე მოქმედებენ შემდეგი ძალები: ფრთის წინ არსებული მასის რეაქციის ძალა R_1 ; მასის მიერ გამოწვეული დინამიკური წნევა J ; სიმძიმის ძალა G ; რომაღლიერი და ხახუნის მარეზულტირებელი R ძალა. ჩავთვალოთ, რომ R_1 პარალელურია ღერძის, J ძალა კი OZ ღერძთან ქმნის α კუთხეს, R ძალა ფრთის ნორმალიდან გადახრილია ხახუნის ϕ კუთხით.

ამ ძალების გეგმილები OX და OZ ღერძებზე გეგმილვენ შემდეგ განტოლებებს

$$\sum X = -R_1 - J \sin \alpha + R \sin(\alpha + \phi) \quad (1)$$

$$\sum Z = J \cos \alpha + G - R \cos(\alpha + \phi) \quad (2)$$

განვსაზღვროთ R -ი განტოლებიდან (2)

$$R = J \frac{\cos \alpha}{\cos(\alpha + \phi)} = \frac{G}{\cos(\alpha + \phi)} \quad (3)$$

ჩავსვათ R -ის გამოსახულება (3)-დან (1) განტოლებაში და განვსაზღვროთ R_1 -ით

$$R_1 = -J \sin \alpha + J \cos \alpha \cdot \operatorname{tg}(\alpha + \phi) + G \operatorname{tg}(\alpha + \phi)$$

$$R_1 = G \operatorname{tg}(\alpha + \phi) + J(\cos \alpha \cdot \operatorname{tg}(\alpha + \phi) - \sin \alpha) \quad (4)$$

განვსაზღვროთ R -ის გეგმილები OX და OZ ღერძებთან (3) გამოსახულების გათვალისწინებით

$$R_x = Gtg(\alpha + \varphi) + I \cos \alpha \cdot tg(\alpha + \varphi)$$

$$R_z = G + J \cos \alpha$$



აქ

$$G = \sqrt{\pi(r_1^2 - r_2^2)} \cdot \frac{\ell}{8} \rho g$$

სადაც r_1 - არის გარე ცილინდრის რადიუსი, r_2 - შიდა მბრუნავი ლილვის რადიუსი, ℓ - ფრთებს შორის ბიჯის სიგრძეა, ρ - მასის სიმკვრივეა.

დინამიკური წნევის ძალა განპირობებულია ინერციის ძალით

$$J = \bar{j}_m \quad (7)$$

სადაც j - საშუალო აჩქარებაა, m - მასაა.

მასის ნებისმიერი წერტილი ფრთის ზემოქმედებით დებულობს სინქარეს $v_0 \rightarrow v_0$ -მდე აქედან გამომდინარე საშუალო აჩქარება იქნება

$$\bar{j} = \frac{v_2 + v_0}{t_2 - t_1} = \frac{v_2}{t_2 - t_1} \quad (8)$$

ფრთაზე მდებარე ნებისმიერი წერტილი მბრუნავი ღერძის ერთი საშუალო შემობრუნების დროს გაივლის გრძივი ღერძის გასწვრივ ℓ მანძილს $t_2 - t_1$ დროში. აქედან გამომდინარე წერტილის საშუალო სინქარე $t_0 - t_1$ დროის განმავლობაში

$$v_0 = \frac{\ell}{t_2 - t_1} \quad (9)$$

მეშვიდე გამოსახულება მერვე და მეცხრეს გათვალისწინებით მიიღებს სახეს

საქართველოში, მართალია, მინიმალური ხელფასის შესახებ კანონი *საქართველოს მთავრობის დადგენილებით* მიღებული, მაგრამ პრეზიდენტის განკარგულებით 1995 წლიდან იგი 20 ლარს შეადგენს, რაც 15-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროგაერთიანების ყველაზე დაბალი მინიმალური ხელფასის მქონე ქვეყანაში (ლატვია) და 175-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ამავე გაერთიანების ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასის მქონე ქვეყანაში (დუქსემბურგი). ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობამ უკვე ოფიციალურად დააფიქსირა, რომ ქვეყანა ორიენტაციას იღებს ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანამ მოკლე ხანში მიღწევის განხორციელების მოთხოვნები დააკმაყოფილოს, მათ შორის ცხოვრების დონის ამაღლებას, რათა არ გაჭირვარდეს მისი ინტეგრირება ევროკავშირში.

გარდა აღნიშნულისა, ცხოვრების დონის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის (შინამეურნეობის) მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის შესწავლას. ამ მიზნით საქართველოში ტარდება შერჩევით დაკვირვება 3350 შინამეურნეობაზე (ოჯახზე) თბილისსა და ქვეყნის რეგიონებში. შერჩევის მოცულობა განსაზღვრულია იმგვარად, რომ დაკვირვების მასალაზე უზრუნველყონ სტატისტიკური სისუსტე როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე. შერჩევაში გამოყენებული როტაციის პრინციპის შესაბამისად, წარმოებს წლის მანძილზე მთელი შერჩევის თანდათანობითი განახლება. შერჩევაში მოხვედრილი თითოეული შინამეურნეობა (ოჯახი) რჩება მასში ერთი წელი და ამ შინამეურნეობიდან ინფორმაციის აღება ხდება კვარტალში 4-ჯერ.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, 2005 წლის მონაცემებით ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიურმა შემოსავალმა ქვეყანაში სულ შეადგინა 303,5 ლარი. მათ შორის სოფლად 309,4 ლარი, ხოლო ქალაქად - 297,6 ლარი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოფლად მცხოვრებ ოჯახებში ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი (60%-ზე მეტი) მიღებული აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციიდან, ხოლო ქალაქად კი ჭარბობს დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლები.

რაც შეეხება არაფულად შემოსავლებს, იგი 5-ჯერ უფრო მაღალია სოფლად მცხოვრებ ოჯახებში (131,7 ლარი) ვიდრე ქალაქად (26,3 ლარი).

ანალოგიური მდგომარეობაა ერთი შინამეურნეობის (ოჯახის) ხარჯების მიხედვით როგორც სოფლად, ისე ქალაქად; არაფულადი ხარჯები ზუსტად იგივეა, რამდენიც არაფულადი შემოსავლები, ხოლო სამომხმარებლო ფულადი ხარჯები გაცილებით მაღალია ქალაქად მცხოვრებ ოჯახებში (335,1 ლარი) სოფლად მცხოვრებ ოჯახებთან (196,1 ლარი) შედარებით. ასევე მაღალია იგი შემოსავლებთან შედარებით.¹

ამგვარად, როგორც მოტანილი ციფრებიც მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში სოფლად მცხოვრები ოჯახების მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა კერძო, საკუთარ მეურნეობაში მოყვანილი პროდუქტები ნატურალური ხაზით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მწვავედ დგას სიღარიბის და სიმდიდრის განსაზღვრის საკითხი. სიღარიბე შეიძლება განისაზღვროს როგორც აბსოლუტურ სიდიდეებში, ისე საზოგადოების სხვა ჯგუფების შემოსავალთან შედარებით.

აბსოლუტური სიღარიბე არის შემოსავლის ის დონე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მინიმალურ მოთხოვნილებას საკვებას და სხვა სახის პირველადი მოხმარების საგნებზე. შეფარდებითი სიღარიბე არის შემოსავლის ის დონე, რომლის მიხედვითაც საზოგადოების შესაბამის ჯგუფებს შიშშილი არ ემუქრებათ, მაგრამ ისინი ღარიბები არიან მდიდართა შორის.

სიმდიდრე მიჩნეულია მოცემულ პერიოდში ოჯახის საკუთრებაში არსებული ფინანსური სახსრების წმინდა რეალური მარაგი, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ფულით, მატერიალური და სულიერი ფასეულობებით, ბუნებრივი რესურსებით და სხვა სახის მოძრავი და უძრავი ქონებით.

საქართველოში ცხოვრების დონის ანალიზისას სიღარიბის მაჩვენებლები შეფასებულია სიღარიბის სამი სხვადასხვა ზღვრის მიმართ: 1. საარსებო მინიმუმი; 2. მედიანური მოხმარების 60%; 3. მედიანური მოხმარების 40%.

საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია. საარსებო მინიმუმად მიჩნეულია შრომისუნარიანი ასაკის (15-დან 65 წ-მდე) მამაკაცის საარსებო მინიმუმი.

მედიანური მოხმარების 60% და მედიანური მოხმარების 40% სიღარიბის ფარდობითი

¹ საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2006 წ.

ზღვრები, რომლებიც მთლიანი მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების მიხედვით აითვლება. სიცხადის შეტანის მიზნით განემარტავთ - მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების შედიანად მოხმარების ისეთი სიდიდე, რომ მოსახლეობის ნახევარი (50%) მასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მეტს მოითხოვს. ექსპერტული საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2005 წლის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობა 4 409 130 კაცს შეადგენდა, საარსებო მინიმუმი 92,6 ლარს, მედიანური მოხმარება კი - 144 ლარს. ე.ი. მოსახლეობის ნახევარი ანუ 2 200 650 კაცი თვეში მოიხმარდა 144 ლარზე მეტს, ხოლო მეორე ნახევარი კი 144 ლარზე ნაკლებს.

საქართველოში მოსახლეობის ცხოვრების დონის სიდრმისეული ანალიზისათვის, სიღარიბის ზემოთ ჩამოთვლილი სამი ზღვრის მიმართ სიღარიბის სამგვარი მაჩვენებელი შეფასდა: 1. სიღარიბის დონე; 2. სიღარიბის სიდრმე და 3. სიღარიბის სიმწვავე.

სიღარიბის დონე ან სხვაგვარად დარიბების რაოდენობის ინდექსი, დარიბი მოსახლეობის წილია მთელ მოსახლეობაში. მაგალითად, 2005 წლის მონაცემებით საქართველოში სოფლის მეურნეობის მოსახლეობის 38,9 % მოიხმარდა მედიანური მოხმარების (144 ლარი) 60%-ზე ნაკლებს, ანუ 86,4 ლარის 19,0% ე.ი. მედიანური მოხმარების 40%-ზე ნაკლებს, ანუ 57,6 ლარზე ნაკლებს.

რაც შეეხება სიღარიბის სიდრმის მაჩვენებელს, იგი წარმოადგენს დარიბი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრამდე დაშორების წილს მთელი მოსახლეობის სიღარიბის ზღვრის დონეზე ჯამური მოხმარებიდან.

როგორც აღვნიშნეთ, სიღარიბის სამი ზღვრის მიმართ სიღარიბის შესამე მაჩვენებელი - სიღარიბის სიმწვავე არის საქართველოში არსებულ დარიბ ოჯახთა შორის სიღარიბის უთანაბრობის მაჩვენებელი. იგი თავისი შინაარსით მოიცავს როგორც სიღარიბის სიდრმეს, ისე დარიბთა შორის უთანაბრობას.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად ზემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი მახასიათებლები (შემოსავალი, მოხმარება) შემდგომი სრულყოფის მიზნით სოფლის მეურნეობის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს დისკუსიები ერთიანი შემადგამებელი მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანშეწონილობის და აუცილებლობის შესახებ. ბუნებრივია, ეს არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლის ფორმირებას და პრაქტიკაში დამკიდრებას.

რამდენიმე წლის წინათ, გაეროს განვითარების პროგრამაში (1995წ.) მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი აგრეგატული მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის ნიშუშის სახით შემოთავაზებულ იქნა ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსი (აპი), რომელიც შეადგენს კრებსით ინდექსს და მოიცავს სამ ძირითად მაჩვენებელს, რომლებიც სახაყენ ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ასპექტებს. 1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი; 2. განათლებულობის მიღწეული დონის მაჩვენებელი; 3. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქციის (შშპ) რეალური მოცულობის (დოლარებში) მსყიდველუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე) მაჩვენებელი.

აღნიშნულ პროგრამაში მოცემულია თითოეული მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა, მაგრამ ერთი რამ ცხადია - ადამიანის პოტენციური განვითარების მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგია მუდმივ სრულყოფას განიცდის. მასში ჯერ კიდევ ბევრი სადისკუსიო საკითხია.

დასკვნა. ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცალკეულ ეკონომისტთა ჯგუფების შეხედულებები მოსახლეობის ცხოვრების დონის ყველა ფაქტორს ვერ მასუხობს. ჩვენ მიერ კი წარმოდგენილია ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც კონცენტრირებულ სახით გამოხატავს (საზოგადოების, ქვეყნის) ფუნქციონირების თითქმის ყველა მხარეს: სოციალურ-პოლიტიკურს, ზნეობრივს, რელიგიურს, მორალურს, ფსიქოლოგიურს, ოჯახურს და ასე შემდეგ, ე.ი. კომპლექსურად შემოთავაზებულია ერთიანი აგრეგატული მაჩვენებლები ადამიანის პოტენციური განვითარების ინდექსის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 32;
2. ფიშკო ს., დორნბუში რ., შალენი რ., ეკონომიკა ტ. II 1998 გვ. 456
3. ლურჯია კ. ეკონომიკური თეორია, გამომცემლობა „სამშობლო“, 2001 გვ.296.
4. საქართველოს სტატისტიკური წყაროები 2006წ., გვ. 69,70,71,72.

Уровень жизни населения и определяющие его показатели

Минджория Ш. (ТГУ), Окроваридзе А.Г., Окроваридзе Л.А. (ТГХУ)

В статье освещены определения понятия уровня жизни населения отдельных группами экономистов, и показатели которые его обуславливают, так как в экономической литературе не существует единого понятия об определении уровня жизни населения. Представлены показатели которые определяют уровень жизни и которые в концентрированном виде

ნებელი თითქმის გაორმაგდა და 3514,3 ათასი დოლარი შეადგინა.

მსოფლიო ადგილობრულ ბაზარზე განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა წითელ ღვინოზე. მაგალითად, 1999 წლიდან აშშ-ს სავალო ვაჭრობაში წითელი ღვინოების რეალიზაციის დონემ საერთო მოცულობის 63% შეადგინა და ერთი ლიტრის საშუალო ფასი \$15 აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ცალკეულ ქვეყნებში ღვინოს მოხმარებაში და ფასისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია, მაგრამ მომხმარებლები დიდ მოთხოვნებს უფრო მეტ ღირსის ხარისხს და მზად არიან გადაიხადონ მაღალი ფასი, თუმცა არიან დაბალ შემოსავლიანი მომხმარებლებიც, რომლებიც დაბალფასიან ღვინოს ყიდულობენ.

ექსპერტების შეფასებით, უახლოეს 5-7 წელიწადში ღვინოზე მოთხოვნა მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდება, რაც ძირითადად მოხდება პველატიონ-ის კატეგორიის, ანუ ადგილწარმოშობის მიხედვით კონტრინენტური ღვინოების ხარჯზე. ღვინოს მოხმარების მხრივ კონტინენტები ევროპა ლიდერობს - 67,4%, ევროკავშირი კონტინენტზე წამყვანია 54%-ით, მომდევნოა აზია - 20,5%, შემდეგ აზია - 7%, დანარჩენი კონტინენტების ჯამური მაჩვენებელი 2-3%-ია.

სუფრის ქართული წითელი ღვინოები თავისი ხარისხით, ინტენსიური შეუქი ღალისფერით, წარმოების მთელი ტექნოლოგიური პროცესის სრული დაცვის შემთხვევაში არ ჩამოუვარდებიან ბურგუნდიისა და ბორდოს საქვეყნოდ ცნობილი ღვინოებს.

საქართველოშიც ოლითანვე არსებობდა დიდი მოთხოვნა ამ ტიპის ღვინოზე. მაღალი ხარისხის სუფრის წითელ ღვინოებს მსოფლიო სხვადასხვა კონკურსებზე მრავალი ჯილდო და პრიზები აქვთ მიღებული.

სახელმწიფო სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემებით სუფრის წითელი ღვინოს მწარმოებლები არიან შპს „ჯი-ვი-ეს“, შპს „თბილფინო“, შპს „ბარაკონი“, შპს „ძეძი ასკანლები“, შპს „კოტეხი“ და სხვა. ბაზარზე აღნიშნული გარდა, ფოკურიტბენ არარეგისტრირებული მწარმოებლებიც, რაც დასტურებს, რომ აღნიშნული ბაზარი არაკონტროლირებადია.

შედეგების განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მეკუთრად გაიზარდა აღნიშნული ღვინოების ასორტიმენტი, მაინც დაბალია მათი ხარისხი, რადგან დიდი მოგების მიღების მიზნით, ღვინის მოცულობის შეუსაბამო ზრდა ნედლეულის ზრდასთან შედარებით, გახდა მისი ფალსიფიკაციის მიზეზი.

ეკრძოდ, ადვილი აქვს დაბალი ხარისხის, ფალსიფიცირებულ ღვინოს ძირითადად არალეგალური გზით წარმოებას, წარმატებული ფირმების ანალოგიურ ეტიკეტის გამოყენებას და მის ასე რეალიზაციას. ასეთი პროდუქციით ისინი აზარალებენ არა მარტო მეწარმეს, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტს და მომხმარებლის ჯანმრთელობას.

პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოების ზედამხედველობის ინსპექციის ბოლოდროინდელი მონაცემებით, არსებული ნიმუშების 40%-ზე მეტი არა მარტო არ პასუხობს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, არამედ ხასიათდება ფალსიფიკაციის მაღალი დონით. მაგ., დაბალფასიანი (3-4 ლარი) ღვინოების უმრავლესობა ხასიათდება ფალსიფიკაციის 100%-იანი მაჩვენებლით. წარმოებული და ბაზარზე გამოსული ღვინოს პროდუქცია რამდენჯერმე აჭარბებს ყურძნის მოსავლს. მაგ., „ხვანჭკარი“ მხოლოდ რაჭის ერთ რაიონში მიღის და მისი მოსავალი შეადგენს 400-დან 1000 ტონამდე, მაშინ, როდესაც ისხმება დაახლოებით 10 მლნ ბოთლი. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ჯიშებზეც. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, შესაძლებელია ხარისხიანი ღვინის წარმოება საზღვარგარეთ შესყიდული ტექნიკური აღჭურვილობის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ „GVS“-სა და „თბილფინოს“ მიერ წარმოებული წითელი ნახევრადტკბილი ღვინოები გამოირჩევიან მაღალი ხარისხით და ნატურალურობით. ამ ფირმების წარმატებით ბიზნესი ნათელი მაგალითია იმისა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი პროდუქციის ხარისხს, მომხმარებლის დაკმაყოფილებასა და ფირმის მოგების დონეებს შორის. ხარისხის ამაღლება, როგორც წესი, იწვევს მოგების გაზრდას.

ბოლო წლებში ღვინის და სხვა სასმელების წარმოების მოცულობის ზრდა აღინიშნება (ცხრ. 1).

ცხრ. 1. ღვინის და სხვა სასმელების მოცულობის ზრდა

დასახელება	2006 წელი	%-ითი ზრდა 2005 წელთან
ღვინო (მლნ. ღალი)	2,7	115,3
აზია და დელიკატის ნაწარმი (ათ. ღალი)	437,7	3,7-ჯერ
ცენტრალური ღვინო (ათ. ღალი)	177,8	110,9
ბრენდი (ათ. ღალი)	221,9	156,4
ღვლე (მლნ. ღალი)	4,8	168,6
მინერალური წყლები (მლნ. ნახ. ლიტრი)	163,6	118,4

თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ ჯერ კიდევ შორსაა იმ ღვინოებთან, რომელიც მიწველობს იყო წინა წლებში. ეკრძოდ, თუ 1985 წელს იწარმოებოდა 914,9 ათასი ტონა ყურძენი, 2007 წელს მისი რაოდენობა 4-ჯერ და მეტად შემცირდა და 227,3 ტონა შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ამჟვე პერიოდში რადიკალური ცვლილებები მოხდა ყურძნის წარმოების სფეროში მწარმოებელთა საკუთრების ფორმების მიხედვით. სახელდობს, თუ 1985 წელს ოჯახური მეურნეობები ყურძნის ნახევარსაც ვერ აწარმოებდნენ (19,8%), ხოლო ყურძნის მოსავლის ნახევარზე მეტი საზოგადოებრივი კატეგორიის მეურნეობებში (კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები) იწარმოებოდა, 2007 წელს მიღებული ყურძნის 91,2% სწორედ მათ მიერაა წარმოებული.

დასკვნა. ყურძნის დამზადება-რეალიზაციაში ფართოდ უნდა დაინერგოს მსოფლიოში

აპრობირებული საკონტაქტო ხისტიკმა – მევენახეებისათვის გარკვეული თანხების წინასწარ გადახდა, მით უმეტეს, რომ ბევრი საწარმო განიცდის ფინანსირებასთან დაკავშირებულ სიმკვლეებს, ბევრიც ვაჭრებულთა კაპიტალური რემონტისათვის აუცილებელი სახსრების არქონის გამო. მწარმოებლებს ამით ვენახის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ინვესტიციები და მასალების შეძენის საშუალება მიეცემა. გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების განხორციელება ხელს შეუწყობს ქართული მეღვინეობის განვითარებას.

ყურდის რეალიზაციაში არსებული სიძნელეების და დაბალი ფასის გამო მასობრივად ხდება ვენახის ამოძრევა. დარღვეულია კავშირები ნედლეულის წარმოებასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, დაუყოვნებლივ უნდა აღსდგეს ჯიშთა გამოცდის სადგურების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სანერგე მეურნეობის ვახის ფართობები შესაბამისი სპეციალიზაციის გათვალისწინებით. მათ მკაცრად უნდა განესაზღვროთ საქმიანობის სფერო და მიმართულება, აკრძალოთ სხვა კულტურების თესვა-მოყვანა. დღევანდელ ვტაზე ეს ობიექტები აუცილებლად უნდა დააფინანსოს სახელმწიფომ და თავის დაქვემდებარებაში, მკაცრი კონტროლის ქვეშ დატოვოს.

მევენახეობის სპეციალიზაცია უნდა განისაზღვროს ქვეყნის შიდა და გარე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გამახვილდეს საფერავის ფართობების ზრდაზე, რამდენადაც მასზე დღეს მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა.

უნდა დაწესდეს ყურძნის შესყიდვის ოპტიმალური ფასები და ამ საკითხის გადაჭრას მიენიჭოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ სახელმწიფო ერთგვარ მანიპულირებულ ფუნქციას შესარულებს.

ანალოგიურად უნდა გადაწყდეს საჭირო შსამქიმიაკატების მომარაგების საკითხი. უნდა აღმოფხვრას ამ საქმიანობაში დამკვიდრებული სრული განუთხოვობა, რამაც უკვე მნიშვნელოვანი ფართობების განადგურება გამოიწვია.

„ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოშობის ადგილისა და გეოგრაფიული დასახელების მიხედვით წარმოებულ უნიკალურ ღვინოებზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლი უნდა განხორციელდეს. ასეთი პროექტების წილმა ქვეყანაში დამზადებული ღვინოების შესაძლებლობის მაღალი პროცენტულ მანქნელებს უნდა შეადგინოს.

საქართველოში მეღვინეობის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქცეს ქართული ღვინოების დაკარგული პოზიციების დაბრუნება დღეს-ქვეყნების ბაზარზე და გასაღების ახალი ბაზრების ათვისება.

შიდა და მსოფლიო ბაზრის სწორი მარკეტინგული კვლევა და სარეკლამო ღონისძიებები ხელს შეუწყობს ექსპორტის ზრდას, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თუშაძეშვილი გ. ქართული ღვინისა და კონიაკების დამზადების ტექნოლოგიური წესები. თბ., 1999
2. მესხუაზა ნ. საქართველოს მევენახეობა. თბ., 1996
3. რობაქიძე ა. „ვაზის ქვეყანაში საავიციო სიტორტი დამზადებულ ღვინოს გავსმევე.“ ვაზ. ვერსია, 2006 №158
4. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, წელიწადური 2007წ.

Современное состояние Грузинского винного базара

Питиურიшვილი Л. (ГТХУ)

Одной из главных проблем для экономики страны является производство экспорта виноделия, восстановление позиции в странах традиционного рынка, и поискать новые рынки.

Грузия занимала особое место экспорте грузинских вин в странах Европы и в средней Азии. В конце двадцатого века, на всемирном винном рынке потребности на винные продукты выросли. Вино для Грузии всегда представляла для экспорта особой продукцией, а для экономики особым прибыльным средством. В последние пять лет экспорт на вино и виноматериалы выросла в 4,5 раз. Несмотря на то, что экспорт в основном происходил в странах СНГ, существуют другие рынки, которые готовы принимать высококачественную продукцию Грузинских вин.

Modern Sitation on the Georgian Wine Market

L. Pitiurishvili (GSAU)

It's impossible to speak about market economy without development of economical relations. Gaining of place on the world market and participation in international trade for any country mean priority of this or that country in comparison with other countries. The most important problems among country's other economical problems are production of export products, gaining of place on old traditional market and finding of new realization markets. Georgia always has its own stable place in the countries of Europe and Asia by exporting of Georgian wine. In the last decade of XX century it has been increased demand on wine on the alcoholic drinks market.

Wine for Georgia always has been one of the most important export production and source for economical income. During last 5 years demands on export of wine and its materials has been increased in 4.5. 80% of export came on Russia and 20% on the Ukraine, Lithuania, Belorussia, Estonia, USA, Holland, Czechia, etc. Although wine export mainly had place in the countries of CIS there exist other international markets being ready to buy high-quality Georgian wines, especially today, when Russia in strained political situation has put embargo on Georgian wines which has also strained economical situation.



სტრატიაში განხილულია აგრარული სექტორის განვითარების ძირითადი მიმართულებები მურნეობის თავისებურებები და აგრარული ურთიერთობების რეგულირების სპეციფიკა. მთავარი პრობლემაა, რომელიც საქართველოს აგრარული სფეროს განვითარების წინაშე საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის წარმოების წარების სწორი სისტემა. საქართველოს ეკონომიკაში აგრარული სექტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ქვეყანაში არსებული ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი შევსებულია გამოყენებულ ეკონომიკის წარმატებული განვითარებისათვის.

შესავალი. საქართველოს აგრარულ სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სოფლის მეურნეობისა და მისში შემავალი ცალკეული დარგების მართვის სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია შრომის პროცესების ტერიტორიულ, რაიონულ და რეგიონულ განვითარებას. აგრარული ეკონომიკა საერთო ეკონომიკური თეორიის ორგანული ნაწილია. ისე როგორც ეკონომიკის სხვა სფეროებში, სოფლის მეურნეობაშიც მოქმედებს სოფლის ეკონომიკური განვითარების საერთო ეკონომიკური კანონზომიერებანი. აგრარულ ეკონომიკაში საბაზრო ეკონომიკის ბევრი კანონი უფრო მეტწილად და უფრო წმინდა ხასიათის მოქმედებს, ვიდრე სხვა დარგებში. ქვეყნის აგრარული პოლიტიკა მთლიანად არის დამოკიდებული მის მიერ აღებულ საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომლის დროსაც დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები უშუალო შედეგად ახდენენ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და იმ ნეგატიურ შედეგებზე, რომლებსაც აქვს ადგილი აგრარულ სფეროში. როგორც ენერგეტიკულ მართვის სისტემის ანალიზმა გვიჩვენა, წარსულში რაიონული სოფლის მეურნეობის სამართლებრივი ვერ უზრუნველყოფდნენ სპეციალიზაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის პროცესების რეგულირებას. საქართველოში რადიკალური აგრარული რეფორმის კურსის სწორად გატარებით შესაძლებელია მაქსიმუმ 3-4 წელიწადში გადაჭრილიყო სამეურნეო პრობლემა. დღეისათვის აგრარული სექტორის განვითარების და მისი სტაბილიზაციისათვის, აუცილებელია საბაზრო მექანიზმის პრინციპისა და ბაზრის კონსტრუქციის შესწავლის მეთოდების ცოდნა და მათი მიზანდასახული გამოყენება საწარმოების მართვის ფუნქციების რაციონალური განხორციელებისათვის.

ობიექტები და მეთოდები. საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურებები ახასიათებს მისი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. ამ თავისებურებების დადგენას უდიდესი როლია და გამოცდილება სჭირდება. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების ამ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობა ზოგჯერ გამოუსწორებელ შედეგებს იძლევა. დღეს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია ისეთია, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგად უნდა დარჩეს, რადგან ქვეყანაში, პირველ რიგში, აგრარულ სექტორს აქვს საქმარის პოტენციალი გაფართოებული კლავწარმოებისათვის. ისე როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ასევე აგრარულ ეკონომიკაშიც წარმოების ეფექტური ფუნქციონირება მისი ორი მხარის - საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა რეგულირებაზეა დამოკიდებული. სასოფლო წარმოების ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურებაა საწარმოო ძალების განვითარების არსებითად დაბალი დონე, რასაც მოწინავე ქვეყნებში ადრეულად ძლევენ. სოფლად საწარმოო ძალების განვითარებას მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებს, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ამა თუ იმ სახის წარმოების სპეციფიკით არის განპირობებული. ამ ეტაპზე საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგის დამჭირებული ტექნიკური განვითარება, რაც მიღწეული უნდა იქნეს ძირითადად საკუთარი წარმოების პროდუქტებით. საქართველოში აგრარული სექტორის განვითარება შეუძლებელია გახდეს თუ განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა ქვეყანაში არსებული წარმოების საშუალებების ისეთი გამოყენების პრობლემას, რომლის დროსაც მიიღწევა საზოგადოების უსაზღვრო მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება [1].

კაპიტალისტურ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება ფერმერული მეურნეობის განვითარების საფუძველზე წარმართება და იგი ძირითადად, როგორც წესი, მსხვილი მეურნეობის უპირატესობის კანონს ეფუძნება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, წერილი სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლისაგან შეუძლებელია წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას. ბაზარზე აუცილებელია მსხვილი საქონელმწარმოებლების არსებობა. გარდა ამისა, განვითარებული ქვეყნებში სასურსათო ბაზარზე საქონელმწარმოებლებს გარანტირებული აქვთ თავისუფალი გასვლა, მოქმედებს კარგად ორგანიზებული მიწის ბაზარი, ფართოდ გაერცვლებულია მიწის ოჯარი, არსებობს იმთავითვე კრედიტი, ფერმის შესყიდვისათვის ხელშეწყობი პირობები. ყოველივე ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დამწყობი ფერმერული ხელსაყრელი და თანაბარ პირობებში იმყოფებიან და თუ ვერ ახდენენ წარმოების ისეთი ორგანიზაციის და ბაზარზე გასვლას, შეუძლიათ დატოვონ იგი ყოველგვარი იურიდიული, ინსტი-

ტუცონალური თუ ეკონომიკური დაბრკოლების გარეშე ჩვენთან კი ყველაფერი მიუგვარებელია და დამწყები მწარმოებისათვის ძირითადად ხელისშემშლელი პირობებია განაპირობებულ დღემდე არ არის შექმნილი ის საბაზრო გარემო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამდვილ სამწარმოო საქმიანობის დაწყებისა და ბაზარზე თავისუფალ გასვლას.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ჩვენი წარსული მემკვიდრეობაც, რაც უმეტეს შემთხვევაში ატება, რომ საბჭოთა პერიოდში აგრესიულად პროდუქციის დიდი ნაწილი ქვეყნიდან გარე გადიოდა. ხამგიეროდ, ჩვენთვის საჭირო შხა პროდუქციასთან ერთად, დიდი რაოდენობით დამამრე მასალები და ნედლეული შემდიოდა. ამიტომ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საბოლოო პროდუქციის გამომშვები საწარმოები, რადგან ნედლეულზე ფასების ზრდის პარალელურად, შხა პროდუქციაზე ფასების ზრდა შეუძლებელია, ჯერ ერთი, მოსახლეობის გადახდის უუნარობის, მიმოქცევაში ფულის არარსებობის, და მეორეც, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის პირობებში შედარებით იაფი სახლგარეეთული პროდუქციის შემოსვლისა და ზოგიერთი ქვეყნების მხრიდან ჩვენს მიმართ გააზრებული დენაინგური პოლიტიკის გატარების გამო.

გამოდის, რომ ერთი მხრივ, წარმოება შეხლულელია, არ არის მისი ზრდის საშუალება ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირისა და არსებულზე მაღალი ფასების გამო, ხოლო მეორე მხრივ, მსოფლიო ბაზარი გაჯერებულია ყველა სახის პროდუქციით და იგი შხად არის დაიკავოს მსოფლიოს ქვეყნებში ამა თუ იმ მიხეზით გამოწინავესუფლებული ადგილი. „ბაზარი ხმის სფეროა, სადაც ხდება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ეკონომიკური კავშირი. ფულის ან სხვა ექვივალენტის საშუალებით, საქონელგაცვლის საფუძველზე“ [2]. შექმნილი მდგომარეობა იწყებს არამარტო საწარმოების განგრეობას არაეფექტური წარმოების გამო, არამედ მათი უცხოურ საწარმოებთან შედარებით ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდას (წარმოებული პროდუქციის დაბალხარისხიანობას, დაბალ კონკურენტუნარიანობას), რომლის აღდგენა თითქმის შეუძლებელი იქნება. ასე თუ გაგრძელდა, საწარმოების განგრეობა მასობრივ ხასიათს მიიღებს, რაც თავის მხრივ, მასობრივ უმუშევრობისა და იაფი მუშაკების საფუძველი გახდება.

შედეგები და განილაგა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართულ აგრარულ სექტორში შეიმჩნევა თავისუფალი, არასრულყოფილი კონკურენციის ორი ძირითადი წინაპირობა:

- ბაზარზე უამრავი წვრილი გამყიდველია (საქონელმწარმოებელი), მაგრამ არცერთ მათგანს არ გააჩნია საქმიანობის რაოდენობით პროდუქტები ბაზრის გასაჯერებლად და ფასებზე გაყიდვის მოსახდენად;
- საქონელმწარმოებლებს შეუძლიათ ბაზარზე თავისუფლად შესვლა და უკან გამოსვლა.

აქედან გამომდინარე, შეგებლია დავასკენათ, რომ ჩვენთან სოფლის მეურნეობა ისეთი დარგია, სადაც თავისუფალი კონკურენცია ჯერ კიდევ მიღწეული არ არის, ხოლო მასთან შედარებით, ეკონომიკის სხვა დარგებში მდგომარეობა ბევრად უკეთესადაა მოგვარებული. „აგროსამრეწველო ინტეგრაცია, რომელიც ნიშნავს სოფლის მეურნეობის პროცესების შეერთებას მიმწვებლობასთან, თავისთავად წარმოქმნის მრავალფუნქციურ სისტემას, რომელიც წარმოებას მჭიდროდ აკავშირებს საბაზრო სასაქონლო ურთიერთობასთან“ [3].

აგრარული სექტორის მეორე არსებითი თავისებურება მიწის, როგორც წარმოების საშუალების გამოყენების ხასიათშია. მიწათმოქმედებაში მთავარია ნიადაგის ნაყოფიერება, რომელიც მიწის ეკონომიკურ ნაყოფიერებაში გამოიხატება და ეს ნიადაგის უმნიშვნელოვანესი ნიშან-თვისებაა. სამრეწველო წარმოებაში კი მიწა შენობებისა და ნაგებობის გადაადგილებისა და განლაგების საფუძველად გამოდის. მიწა დღემდე რჩება სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ შეუცვლელ და განსახლურულ საწარმოო საშუალებად, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ელასტიურობა მაღალია. იმისათვის, რათა გაავფართოვოთ წარმოება, აუცილებელია გაავფართოვოთ დასამუშაველი მიწის ფართობი, რომელიც დიდ საწარმოო დანახარჯებს მოითხოვს, რაც ჩვენთან, სამცხინოურ-ტექნიკური პროგრესის დაბალი დონის პირობებში ნაკლებად შესაძლებელია, რადგან მცირეა აგრარულ წარმოებაზე სამცხინოურ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აგრარული რეფორმის არასწორი კურსით გატარების დროს. როგორც ვხედავთ, ჩვენთან მიწა დიდხანს დარჩება ძირითად და შეუცვლელ, მეტად ზემოქმედ საშუალებად. ამავე დროს, წარმოების გაფართოება შეხლულელია, რადგან მისი ფართობი მოცულობით განსახლურულია. ეს კი წარმოშობს მიწის რენტის ფენიშენს, რაც აგრარული ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა.

დასკვნა. საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით მოვების ზრდის მიღწევა, საკუთარი ფინანსური რესურსებით მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობა უნდა გახდეს საზოგადოებრივი წარმოების მთავარი მაჩასიათებელი.

თანამედროვე პირობებში გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ უზრუნველყოთ მთელი ეროვნული მეურნეობის განვითარების მაღალი ტექნიკური დონე და ამავე დროს სწრაფად განავითაროთ ქვეყნის წარმოების დარგები. დეკაროელი საწარმოო პოტენციალი და გა-

მოცილებულ საშუალებას ვეძღვევს ამ ეტაპზე გარკვეული უპირატესობა მივანიჭოთ მწუხრს და კვირის მრეწველობის ზრდის ტემპს, რაც საჭიროა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სასურსათო უსაფრთხოების პროგრამის რეალიზაციისათვის. ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის დარგის დაჩქარებული განვითარება ნაკარნახევა სასურსათო უსაფრთხოების პროგრამების სწრაფად გადაჭრის ინტერესებიდან გამომდინარე. საქართველოში კომპლექსური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი თავისებურებაა მწიფე ანაში მძღაერობს აგრარული კრიზისი, მისი დაძლევა ქვეყნის მწვავე ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის ტოლფასია, რადგან სოფლის მეურნეობა, რეფორმის გატარების პირობებში, აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი დარგი სხვა დარგთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული პრობლემის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის მექანიზმების სრულყოფას, რადგანაც მისი ეფექტიანობა ძირფესვიანად განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და განვითარების შესაძლებლობებს. ცნობილია, რომ მართვა გულისხმობს მიზნების, ამოცანების და ფუნქციების განსაზღვრას, მათი შესრულების კოორდინაციას, მუშაკების პროფესიული ჩვენების შეწყვეტის და მათი საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის მიღწევის უნარს.

დღეისათვის საქართველოს აგრარულ სექტორს და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას, ყოველმხრივი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა სჭირდება, რომლის ობიექტურ აუცილებლობას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ფასებისა და შემოსავლების რყევის მაღალი დონე, რაც დამოკიდებულია როგორც ბუნებრივ ფაქტორებზე, ისე ბაზრის კონუნქტურაზე; აგრარულ სექტორში ინვესტირების არაპრობლემულობა კაპიტალისა და კვლავწარმოებითი პროცესების ნული ბრუნვის გამო; წარმოების სეზონურობა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების და გარემოს დაცვის აუცილებლობა. აგრარულ სექტორში ყურადღებას საჭიროებს საბაზრო უთიერთობების განვითარება, ფერმერული მეურნეობების მოწყობა, მეწარმის დახმობა წარმოების საშუალებებთან და მიწასთან. გლეხურმა (ფერმერულმა) მეურნეობებმა საჭიროა მიიღონ ფინანსური, ტექნიკური და მარკეტინგული მხარდაჭერა სახელმწიფოსა და დონორებისგან, ეროვნული საბანკო-საკრედიტო დაწესებულებებისგან, შედავათიანი მცირე კრედიტების მიცემის, სოფლებში საწვავის, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების, შხამ-ქიმიკატებისა და სასუქების მიწოდების გაუმჯობესების გზით.

ამგვარად, აგრარული სექტორის მიმართ ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა.

ვინაიდან სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტექნოლოგიის საფუძველი სხვადასხვაა, ამიტომ მათ შორის ყოველთვის იქნება განსხვავება და იგი არ გაქრება, მაშინაც კი თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციას სამრეწველო საფუძველზე ვაწარმოებთ. ჯერჯერობით აქ ერთგვარონება არ არის, იგი სწორედ ტექნოლოგიური პროცესების რეგულირების დონეებში უნდა ვყოფილი. მრეწველობაში სახესხედი მოწესრიგებულია ყველა მექანიზმი და სხვა შემოაღნიშნული პროცესები. მასზე შეგავლენას ვერ ახდენენ ბუნების სტიქიური ძალები, სოფლის მეურნეობა კი ბუნებრივი და სხვა გარემო პირობების აქტიურ გავლენას განიცდის. რა თქმა უნდა, აგროტექნიკის სრულყოფის, სოფლის მეურნეობის ხელახალი აღჭურვის კვალობაზე ეს გავლენა ბიორდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ მთლიანად დავიმორჩილოთ ბიოლოგიური პროცესები იმგვარად, როგორც ეს მრეწველობაში ხდება.

იმ ქვეყნებში, სადაც აგრარული ეკონომიკის გაძლიერების მაღალი კულტურაა, ბუნების უარყოფითი გავლენა მაინც განმსაზღვრელია: ვავლება, წყალდიდობა, მცენარეთა მავნებლები და ცხოველთა დაავადებები აპირობებს აგრარულ სექტორში კაპიტალის ჩადების უდიდეს რისკს, რაც სხვა დარგებში თითქმის მთლიანად გამოირიცხვია.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების თავისებურება, მისი სიფრცობრივი მოცულობის განსაზღვრულობასთან ერთად, კიდევ ეს არის, რომ შეუძლებელია მისი გადასაცვლება ერთი ადგილიდან მეორეზე. ამიტომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დიფერენციაციის შესაძლებლობა მკვეთრად შეზღუდულია.

ამრიგად, დღეისათვის მეტად აქტუალურია ეკონომიკის აგრარული სექტორის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პოლიტიკის რეალური გატარება იმ განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც აგრარულ სექტორში დაკავებული საქონელმწარმოებელთა მფლობელების გაუარესების პირობებშიაც დადებითი შედეგებისათვის მიუღწევია. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა ახლებურ მდგომარეობას საჭიროებს რეფორმის განვლილი ეტაპის ანალიზი საფუძველს ვეძღვევს გაგვეთოთ დასკვნა, რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცევა მეორე მასშტაბის აგრარულ სექტორზე დაფუძნებული ეკონომიკის მქონე ქვეყანად, რომლის წარმოების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობის პროდუქციაა და შემდგომშიც აგრარული სექტორი კვლავაც დარჩება ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად.



1. კეპბელე რ. მაკონუნელი, სტენლი დ. ბრიუ. ეკონომიკის, ნაწ. I, თბილისი, 1993. გვ. 156.
2. ო. ქეშელაშვილი. ბიზნესის ორგანიზაცია. თბილისი, „მბანო“, 1995. გვ. 9.
3. 6. ჭითანავა. საბაზრო ეკონომიკა და აგრესამრეწველო კომპლექსის განვითარების ეფექტულობა. თბილისი, 1999 წ. გვ. 23.
4. Науковий висник Національного Аграрного університету України, 2001, т. 41, с. 278.

Основные направления развития аграрного сектора

Авбевшавили Т. (Телавский университет)

В статье рассматриваются недостатки, которые имели место в сельском хозяйстве при централизованной системе управления. А также освещены особенности сельского хозяйства и специфика регулирования аграрных отношений, те главные проблемы, которые встали перед развитием грузинской аграрной сферы в условиях рыночной экономики, указана правильная система управления сельскохозяйственным производством.

Подчеркнуто, что экономические интересы Грузии требуют в сельском хозяйстве главное внимание уделить на экономическую сторону производства – результативность должна стать одной из главных показателей общественного производства.

Аграрный сектор играет особую роль в экономике Грузии. Природно-экономические условия страны и возможность использования этого потенциала во благо развития экономики Грузии.

В соответствии требованиям законов рыночной экономики, главным критерием эффективности хозяйственной деятельности фермеров подразумевает высокий финансовый результат и устойчивое финансовое положение.

В Грузии на сегодняшний день аграрный сектор нуждается в государственной поддержке.

The Main Directions of Development of the Agrarian Sector

T. Avbetsvashvili (Telavi University)

In this article is discussed the shortages which used to have place during the central management system in national economy which destroyed the public national economy.

It is described the problem, which is the most important in development of Georgian agrarian sphere too. So, it is necessary to distend the development of agriculture with own production. It's stressed, that economic interests of Georgia demand paying attention to the economical side of production – one of the main indices of domestic production should be resultivity. Agrarian policy is considered as a system of arrangements the fulfillment of which will enable to overcome the economical crisis and establish real conditions for solving food problem, for overcoming poverty.

According to the demands of market economy laws the main criteria of enterprise's effectiveness is high financial outcome and financial stability. Otherwise they are doomed to bankruptcy.

თხილის ისტორია და მისი გიგანტის განვითარების პერსპექტივაები მსოფლიოსა და საქართველოში

მ. ვარძელაშვილი, ვლ. მაღლაკელიძე, ვ. ზარბაძე, ა. აბანათიშვილი, ქ. ქელიძე (ხსსსუ)

თხილი ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების და ლიტერატურული წყაროების ურთიერთ შეჯერებით მტკიცდება, რომ საქართველოში თხილის უფრო ადრე იცნობდნენ და იყენებდნენ საკვებად, ვიდრე სხელთაშუა ზღვის ქვეყნები – საბერძნეთი და რომში. ამ ქვეყნებში თხილი შეიტანეს პორტოს ზღვის (თანამედროვე შავი ზღვა) სამხრეთ აღმოსავლეთის ქვეყნებში ბიდან და პონტოდან. შეტანილი სარგავი მასალით პლანტაციები შენდებოდა ქალაქ Avellano – ხ მილანოში, საიდანაც წყველებრივმა თხილმა მიიღო თანამედროვე ლათინური სახელწოდება C. avellana.

თხილს მაღალი გამჭირი და კვებითი ღირებულება აქვს. გულის იყენებენ ნედლად, აგრეთვე სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმის დასამზადებლად. განსაკუთრებით ძვირფასია თხილის ხეტი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საკონდიტრო, საკონსერვო, საპარფუმერო, ფარმაცევტულ მრეწველობაში, ფერწერაში. თხილის მერქანს იყენებენ აუჯისა და სხვადასხვა ნაკეთობათა დასამზადებლად. ცნობილია მთლიანი ხისგან გამოთლილი კოდი, რომელიც გულთაში იწახება, მისი სიმაღლე 2 მეტრს უდრის, დიამეტრი კი 1,5 მეტრს. ცავერის რაიონის სოფელ ორხეში მცხოვრებ ქარიანის ოჯახში აღმოჩნდა 90 ფუთის ტუვადობის საწნახელი, რომლის სიგრძე ხუთ მეტრამდეა, გარშემოწერილობა კი – სამი მეტრი. საწნახელი გამოთლილია იმავე სოფლის ტყეში დათესი თხილის (C. colurna) ხისგან. სამრეწველო ნარგავობის გარდა თხილს იყენებენ ქარდამცვე ზოდებში და ფერღობებისა და ხეყვების ეროზიისაგან დასაცავად.

პირდაპირი მითითებები იმის შესახებ, თუ როდის დაიწერა თხილის კულტურა საქართველოში, ლიტერატურაში არ არსებობს, მაგრამ არის ცნობები იმის შესახებ, რომ თხილის ნაყოფი კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში გაცილებით უფრო ადრე იყენებდნენ, ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. საქართველოში თხილის არსებობისა და მისი გამოყენების ტრადიციების შესახებ უნიკალური მასალებია მოპოვებული არქეოლოგების მიერ, რომელთა

შორის აღსანიშნავია სოფელ ანაკლიასთან, დიხა გუბუბას ბორცვზე და სოფელ ხოსროთან გამოყვანილი ძუღლები.

დიხა გუბუბას დასახლება ენოლითის ხანას ეკუთვნის. აქ აღმოჩენილია საეკლესიო მონასხული მცენარეული ნარჩენები: ფეტვისა და ხორბლის მარცვლები, წიფლის ნარჩენები, რკი, თხილი და ვახის რქის ნაწილები, მრავალრიცხოვანი ქვის იარაღები, სპილენძისა და სხვ. არმლებიც მუდრნებობის მალად დონეზე მიუთითებენ. ეს არც არს. უნდა აღინიშნოს, უნაიდან ამ უაღრესად საინტერესო ნამოსახლარზე უფრო ძველი, ნეოლითური სადგომებიც არის მიკვლეული, რაც ახვევს საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედების სურათს იძლევა [7].

საქართველოში რომ თხილის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი კერაა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მსოფლიოში არსებული თხილის 22 სახეობიდან საქართველოში დაიჭობიონებულია ველურად გავრცელებული 6 სახეობა. აქედან ოთხი მათგანია: ჩვეულებრივი თხილი - *C. avellana*, ქართული თხილი - *C. iberica*, პონტოს თხილი *C. pontica* და დათვის თხილი *C. colurna*, საქართველოს გარდა გვხვდება კავკასიაში, მცირე აზიაში, ევროპაში.

ორი სახეობა კი - კოლხიდის თხილი - *C. colchica* და იმერეთის თხილი - *C. imeretica* საქართველოს აბორიგენული სახეობებია. მეშვიდე სახეობა - *C. maxima* გვხვდება მხოლოდ კულტურაში. კულტურაში დანერგილია აგრეთვე ჩვეულებრივი და პონტოს თხილიდან მიღებული მრავალი ჯიშო [1,5].

არსებობს ცნობები, რომ საქართველოში არსებული სახეობების გამრავლებას აწარმოებდნენ ძვ.წ. VI საუკუნეში.

თხილის მოსხენიება თეოფრასტეს, სოფოკლეს, ვირგილიუსის, კოლუმელის, პლინიუსის თხზულებებში მიუთითებს იმაზე, რომ იმ ეპოქაში თხილს აწარმოებდნენ ხმელთაშუაეთში. ხმელთაშუაეთის მცხოვრებლებს, არ ჰქონდათ რა თავის განკარგულებაში თხილის ველურად მოხარდი რესურსები, იძულებულნი იყვნენ გაეშენებინათ იგი. კავკასიის ძველი ხალხები უფრო ადრე და უფრო დიდ იყვნებდნენ თხილს საკვებად, ვიდრე ხმელთაშუაეთის ხალხები. ხმელთაშუაეთში თხილის კულტურული ნარგავობის გასაშენებლად საწყისი მასალა, სახეობრივი და ბუნებრივი პიბრიდული ფორმები, საბერძნეთში და რომში მოხვდა ძირითადად კავკასიის შავიზღვისპირეთის (იგულისხმება საქართველო) რაიონებიდან და პონტოდან. აკად. პ. გუკოვსკი, იმორშებს რა იგივე ბერძენ და რომაელ ავტორებს, აღნიშნავს, რომ საბერძნეთში თხილის ნაყოფს პონტოს ზღვის (დღევანდელი შავი ზღვის) ქვეყნებიდან ეხიებოდნენ [1]. ამ დროისათვის ბერძნები უკვე არჩევდნენ ველურ და კულტურულ თხილს.

ზოგიერთი ცნობით ჩვეულებრივი თხილის სახელწოდება *avellana* პირველად იხმარა პლინიუსმა. სახელწოდება დაკავშირებულია ქ. აველანოსთან, რომელიც რომის დროს იყო თხილის წარმოების ცენტრი [12], (1751წ. კი სახელწოდება *avelana* იხმარა ლინეიმ ჩვეულებრივი თხილის სახეობის აღსანიშნავად). გარდა ამისა თავის თხზულებაში პლინიუსი მოიხსენიებს პონტოს თხილს და უფრო გვიან - 1598 წ. თავის ნაწარმოებში იმავე პონტოს თხილზე მიუთითებს კასპარ ბაუგინი. 1843 წ. კი ბოტანიოსმა და დენდროლოგმა კარლოს კოხმა პონტოს მთებში ნახა თხილის განსხვავებული ფორმა, რომელსაც მან *Corilus pontica* დაარქვა. შემდგომში თხილის კულტურაზე წერდა ბერეი ევროპელი მკვლევარი საფრანგეთში: ოლივე დე სურე (1601 წ.), ნ. შომელი (1771), უფრო მოგვიანებით კი - ლუი ნუახუცი.

გერმანიაში თხილის ჯიშები აღწერეს ექიმმა ლიურუმ 1772 წ. და მიუნაუსენმა 1776 წ. ინგლისელმა რობერტ გოვომ თავის ხუთტომიან სახელმძღვანელოში, რომელიც 1884 წელს გამოვიდა, აღწერა თხილის 32 ჯიშო [1].

რაც შეეხება ამერიკის კონტინენტს, თითქმის მთელ შვედეთულ შტატებში და კანადაში ველურად გავრცელებულია *C. americana* - იგი იძლევა სასიამოვნო გემოს და არმატს, მაგრამ ძალიან წერიდ ნაყოფებს, რომლებიც გამოუსადეგარია გასაყიდად, მაგრამ, რადგანაც იგი ძალზე გამძლეა თხილზე გავრცელებული დაავადების - ამწვრობის მიმართ მისგან გამოიყენეს რამდენიმე ჯიშო - ლიბტევი, რაში და უნიკლერი, რომლებიც იძლეოდნენ რამდენადმე მსხვილ ნაყოფებს, მაგრამ, არც მათ ჰქონდათ სამრეწველო მნიშვნელობა. შემდგომში ისინი შეჯვარებულიყვნენ ევროპულ ჯიშებთან ამის შემდეგ ამერიკაში დიდი მნიშვნელობა მიეცა *C. avellana*-ს და *C. maxima*-ს ჯიშებს.

თხილის კულტურის სიძველის დამადასტურებლად გვინდა მოვიშველიოთ ასტროლოგია. პიროსკოპები დედამიწაზე უხსოვარი დროიდან განჩნდა, მას შემდეგ, რაც ადამიანს შეეძინება გაუჩნდა და დაიწყო ბუნების მოყვანების, ადამიანთა, ცხოველთა და მცენარეთა ქცევის დაპირისპირება და შესწავლა. ითვლება, რომ პიროსკოპი ბედის წინასწარმეტყველია და ციურ მნათობთა განდაგებას ეფუძნება.

ძველად, ევროპის ხალხებში თხილი იყო რელიგიური კულტის საგანი. ითვლებოდა, რომ ის ფლობდა ჯადოსნურ ძალას კუდიანების წინააღმდეგ. მასვე ეფუძნება საქართველოში სახალაწლო ჩიჩილასკის დამზადება, რომელსაც თხილის ხისგან ამზადებენ, რადგან სჯეროდათ, რომ იგი წმინდა ხეა. ამავე თვისებას ემყარება დრუიდების პიროსკოპიც, რომელიც

ორიათას წელს მუცს თიხლის.

დროულები ძველ გალიაში, ირლანდიაში, ბრიტანეთში და კელტებში ქურუმთა მისწრაფება დახურულ კასტას შეადგენდნენ. დროულები, სანამ კაპლანურ საქმიანობას დაიწყებდნენ, ვალდებული იყვნენ ოცი წელი მარტოობაში გაეტარებინათ ტყეში. ტყე მათთვის წმინდად შეიქმნა იყო, ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ხეებს, რომელთა შორისაც უხვდებოდა ცხივრებიც. აქედან მოდის მათ მიერ ადამიანის ბუნების დაკავშირება მცენარეებთან. ისინი უმეტესად იტყობდნენ რომ ყოველ ადამიანს, ისევე როგორც ყოველ მცენარეს, აქვს თავისი განსახლებურული თვისებები - ღირსებები და ნაკლოვებები, თითოეული ცხოვრების განსახლებურულ პირობებს მოითხოვს. ერთ-ერთი მცენარე, რომელსაც დროულები ადამიანს, ადარებენ, არის თხილი.

თხილის ბიოლოგიიდან ვიცით, რომ იგი ნაკლებად მომთხოვნიან ეკოლოგიურ ფაქტორების მიმართ, კარგად იტანს სიცივესაც და სიცხესაც, იზრდება ისეთ ნიადაგზე, რომელზეც სხვა კულტურები ვერ ხარობენ. თხილი ფართოდაა გავრცელებული მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ყველგან საპატიო ადგილი უკავია.

აი რას წერენ დროულები-თხილის ნიშანზე დაბადებულ ადამიანებზე: „თხილის ნიშნით დაბადებული ადამიანი მცირეხეობაში იქნება, ცხოვრების ყოველგვარ პირობებს ეგუება და ყველაფერი ესმის, მისი გარგნობა თითქმის მაგიურ ხეშემოქმედებას ახდენს. თუ სურს შესხდეს თავი მოგაწონით, შეუძლია თავი შეგაყვაროთ. შეუძლია იყოს კეთილი, ბრძენი, მომთმენი, მაგრამ ამასთანავე შეუძლია საშიში, ბოროტი და მავნეც გახდეს... თუ ვინმეს დაუახლოვდა, ყველაფერს გააკეთებს, რათა სიცოცხლე შეუმსუბუქოს, მაგრამ ფრთხილად იყავი, თუ მის სიმამრას ვერ დაიშინებ. მრავალმხრივი ცოდნა აქვს, სწავლობს და ყველაფერს სწვდება საოცრად სწრაფად და ადვილად. მაგრამ მხოლოდ მის ნებაზეა დამოკიდებული თავის ცოდნას გამოიყენებს თუ არა სასარგებლოდ და მოლიანად“ [10].

როგორც ხეობთ აღვნიშნეთ, საქართველოში თხილს უძველესი დროიდან იყენებენ და აშენებენ. თხილის საუკეთესო პროდუქციას იძლევიან დასავლეთ საქართველოში გურიისა და სამეგრელოს რაიონები, აღმოსავლეთ საქართველოში კი - შიდა კახეთი და საინგილო (საინგილო ქართველებით არის დასახლებული და ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოს ნაწილი იყო). ამ რეგიონებში კულტურული ნარგავობის გარდა, დიდი რაოდენობით გვხვდება თხილის ველურად მოხარდი მასივები, თხილის ტყეები, სადაც მოსახლეობა დიდი რაოდენობით აგროვებდა თხილს, როგორც საკვებ პროდუქტს. აკად. ნ. კეცხოველის ცნობით, შემოდგომით საქციალურად მიდიოდნენ ტყეში და დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდათ თხილი.

გვინდა მოვიტანოთ რამდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის პროდუქციას ამზადებდნენ და რა ფართობი ეკავა თხილის ნარგავობას საქართველოში XX საუკუნის 30-იან წლებში. 1926-27 წწ. საქართველოში დამზადდა და ქვეყნიდან გაიტანეს 1163 ტ კაკალი და თხილი, რომლის ღირებულება 425 ათას მანეთს უდრიდა, ხოლო 1927-28 წწ. 1963 ტ, რომლის ღირებულებამ 960 ათას მანეთი შეადგინა. საკავშირო და საგარეო ბაზარზე სულ უფრო იზრდებოდა მოთხოვნილება ქართულ თხილზე და კაკალზე, ამიტომ 1930 წელსათვის კონტრაქტის საფუძველზე დამზადდა 1677,2 ტონა თხილი. აქედან რეგიონების მიხედვით:

ქუთაისის ოლქში - 93,7 ტ. სენაკის მაზრაში - 9,5 ტ. ოზურგეთის მაზრაში - 914,9 ტ. ზუგდიდის მაზრაში - 659,1 ტ.

1930 წლისათვის საქართველოში თხილის ნარგავობის ფართობი 3300 ჰექტარს შეადგენდა, აქედან დასავლეთ საქართველოში - 2500 ჰა. ჯიშური შედგენილობა კი ასეთი იყო: ბაღენი, კურახუნდი, ტრამპიონი, სუური, სტამბული, გულშიშველა, შველისყურა, ნემსა.

ახვითა თხილის ისტორია მსოფლიოსა და საქართველოში.

ახლა განვიხილოთ, თუ როგორია თხილის წარმოების და ბიზნესის პერსპექტივები. შეიძლება თქვას, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან თხილს ყველაზე წარმატებული ბიზნესი აქვს. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში მსოფლიო ბაზარზე თხილზე მოთხოვნილება ორჯერ გაიზარდა და სადღესოდ თხილის მსოფლიო წარმოებამ 470 ათას ტონას გადააჭარბა.

თხილის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: თურქეთი (70-80%), იტალია (13%), აშშ (5%), ესპანეთი (3%). მცირე რაოდენობით თხილს აწარმოებენ საფრანგეთში, რუმინეთში, ირანში, აზერბაიჯანში. ევროგაერთიანების ქვეყნებიდან ამ პროდუქტის უდიდეს ნაწილს გერმანია (35%) და ნიდერლანდების სამეფო მოიხმარს. მსოფლიოში ექსპორტის 95% ნაჭუჭისაგან განთავისუფლებულ თხილზე მოდის [6, 8, 9].

როგორც ხეობთ აღვნიშნეთ, ქართული თხილის ინდუსტრია გასული 10 წლის განმავლობაში საგრძობლად განვითარდა. 2007 წლის მონაცემებით საქართველოში აწარმოეს 25000 ტ (ნაჭუჭიანი) თხილი. საქართველოში წარმოებული თხილის 95% ნაექსპორტოდ გადის [6] და წარმატებით იყიდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ბაზრებზე. (თუმცა სხვა ცნობით [9] საქართველოდან ექსპორტზე გადის წარმოებული თხილის მხოლოდ 80%).

ევროპულ ბაზარში ქართული თხილი იტალიურ და თურქულ თხილზე იაფია, თუმცა ქართული თხილი მარკით "მოყვანილია საქართველოში" იშვიათად იყიდება. შესაბამისად, მომხმარებლის ცნობიერებაში საქართველო თხილის მწარმოებელ ქვეყნად იშვიათად აღიქმება [6]. ასევე არაერთგვაროვანია ცნობები საქართველოში მოყვანილი თხილის წილზე მსოფლიოში მოყვანილ თხილთან. ერთ წყაროში დაფიქსირებულია 1,7% [6], მეორეში კი 5-7%

[9] როგორც ვხედავთ, განსხვავება საქაოდე დიდია.

საქართველოში თხილის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია: სამეგრელო, აჭარა, იმერეთი და კახეთი. 2006 წლის მონაცემებით საქართველოში მოდიანად წარმოებულ იქნა 23,5 ათასი ტონა თხილი. აქედან სამეგრელოში – 13,5 ათასი ტონა, ანუ 57,4%, აჭარაში – 5,7 ათასი ტონა, ანუ 24,2%, იმერეთში – 3,2 ათასი ტონა, ანუ 13,6%. 1,1 ათასი ტონა თხილი მოდის სხვა რეგიონებზე [8]. საინტერესოა, თუ რა შემოსავალი იძლევა წარმოებულ თხილს ქვეყნის ბიუჯეტში. 2007 წელს, 2006 წელთან შედარებით, თხილისა და სხვა კაკლოვანების (სხვა კაკლოვანებზე დაახლოებით 25%-ი მოდის) ექსპორტი II მლნ აშშ დოლარზე გაიზარდა და 122 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. (მოხახლეობას 1 კგ თხილი 2-დან 4 ლარამდე უხდინენ) [9].

2007 წელს საქართველოში თხილის პლანტაციების გაშენებით დაინტერესდა ცნობილი იტალიური კომპანია "ფერფო", რომელიც მსოფლიოში თხილის 20% აწარმოებს. კომპანიამ ამ მიზნით 2007 წლის გაზაფხულზე ზუგდიდში შეიძინა 1240 ჰექტარი საგარეული გრძელვადიანი პერსპექტივაში "ფერფო" თხილის გადამამუშავებელი ორი ქარხნის აშენებასაც აპირებს [9].

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში თხილის წარმოება წარმატებით ვითარდება, მაგრამ მოსაკარებელი პრობლემებით მაინც ბევრია. უნდა დარეგულირდეს კავშირები მომწოდებელსა და მომხმარებელს შორის. ხშირად ასეთი კავშირები ფალობდება სტიქიურად, რაც მწარმოებელს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და იძულებულს ხდის მიიღოს ის კაბალური პირობები, რომელსაც სთავაზობენ შუამავალი შემსყიდველები და გადამამუშავებლები. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პროდუქციის მწარმოებლებსა და ბაზარს შორის პირდაპირ კავშირებს. უნდა შეიქმნას რაც შეიძლება მეტი ფორმა, სადაც თავმოყრილი იქნება ნედლეულის წარმოება, გადამამუშავება და რეალიზაცია. აუცილებელია ფორმებმა, სახელმწიფოს მხარდაჭერით, იზრუნონ ფასების სტაბილიზაციაზე. საქართველო უნდა გადავიდეს მოხალული თხილის ბიზნესზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ვეციტიძე. თხილი, საქართველოს მეხილეობა, ტ. III თბილისი, 1974.
2. გ. ბიბილაშვილი. საქართველოს ხილი, თბილისი, 1931.
3. ვერგილიუსი. ენეიდა, თბილისი, 1976.
4. ნ. კეცხელიძე. კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბილისი, 1957.
5. ს. ნადირაძე. თხილის კულტურა, თბილისი, 1956.
6. ქ. შარაბიძე. ქართული თხილი და მსოფლიო ბაზარი, ქ. აგროინფო, №4 2007.
7. ხოშტარია. დიხა გუბუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქ. მეცნ. აკად. მოამბე. ტ. 5, №2, თბილისი, 1944.
8. ე. ხარაიშვილი, მ. ნავლეიშვილი. თხილის ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები და პერსპექტივები საქართველოში, ქ. აგროინფო №1 2008.
9. ქ. შარაბიძე. თხილის ბაზარი, ბუღაია, ფინეთი, გერმანია – ქ. აგროინფო, №5, 2007.
10. შოროსკოპების კრებული, თბილისი, 1990.
11. Жуковский П. Культурные растения и их сородичи, Л. 1964.
12. Кичунов Н. Орехи и их культура, Л. 1931.
13. Культурная флора СССР, Т. XVII - Орехоплодные М. Л. 1936.
14. Чендлер У. Плодовый Сад, М. 1960.
15. Культурная флора СССР Т.V Л. 1936.

История фундука и перспективы развития его бизнеса в мире и в Грузии

Vardelashvili M.G., Maglakelidze E.Dz., Barbakadze G.I., Amanatishvili A.I., Chelidze K.Jk. (ITCSU)

Фундук – ценная сельскохозяйственная культура. Археологические раскопки и литературные источники свидетельствуют, что в Грузии эту культуру знали раньше, чем страны средиземноморского бассейна, Греция и Рим. В этих странах фундук завезли из стран расположенных юго-восточнее Понтийского моря (современное Черное море) и закладывали плантации в окрестностях города Avellano. Закладывались завезенными посадочным материалом. Отсюда происходит современное латинское название – C. Avellana.

Плоды фундука содержат: 61-71% растительного масла, которое в свою очередь содержит 85% олеиновой; 1% стеариновой и 10% пальмитиновых кислот; 14-18% белков; 1,83% зольных элементов; 3,5% сахара; 3,28% клетчатки.

Фундуковое масло из витаминов содержит 2,2 – 49% витамина Е.

За высокие питательные качества плоды фундука применяются с давних времен.

